თელავის უნივერსიტეტი

ᲔᲥᲗᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �თᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲨᲝᲑᲐ-ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ!

სულ მალე დადგება ახალი 2014 წელი. სიკეთის, ახალი პერსპექტივების და წარმატებების იმედით ველოდებით მის შემობრძანებას. მანამდე კი, თვალს ვავლებთ განვლილს, – როგორი იყო ჩვენთვის და ჩვენი უნივერსიტეტისთვის გასული წელი, რა გავაკეთეთ, რას დავაკელით სურვილი თუ მცდელობა, რას მივაღწიეთ... ამ ფაქტორების გაანალიზებით შევაფასებთ დღევანდელობას და თვალს გავუსწორებთ რეალობას, რათა ისე ვიმოქმედოთ, ისე ვიშრომოთ, ისე გავთვალოთ ჩვენი საკეთებელი, რომ მომავალი წელი გაცილებით წარმატებული იყოს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის.

როგორც ხე არაფერია ფესვების გარეშე, ისე ჩვენ ვერ გვექნება მომავალი, თუ პატივს არ ვცემთ ჩვენს წინამორბედებს, იმ ადამიანებს, ვისი ღვაწლიც ასულდგმულებდა, ვინც აშენებდა შვიდ ათეულ წელზე მეტი ისტორიის საგანმანათლებლო კერას, ჩვენ არ ვიქნებით პირნათელნი არც მათი ხსოვნის და არც მომავლის წინაშე. ამიტომ, წარსულიდან საუკეთესო ტრადიციების შემონახვით და ახალი მიდგომებით, დროის მოთხოვნათა შესაბამისი ქმედებებით შევძლებთ გაბედული ნაბიჯებით წინსვლას.

ჩემო კოლეგებო, სწორედ თქვენი თანადგომით, თქვენთან ერთად მესახება წარმატებები შესაძლებელი, არ მოვაკლოთ მცდელობა, რომ უნივერსიტეტი იმაზე უკეთესი იყოს, ვიდრე – გუშინ, კიდევ უფრო უკეთესი – ვიდრე დღეს. მე მჯერა ამ წარმატებების და თქვენი თანადგომის... ამ რწმენით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, სიკეთე, ბედნიერება, სიხარული – თქვენს ოჯახებს, თქვენს ახლობლებს, წარმატებები – თქვენს საქმეს, რომელიც განსაკუთრებულად საპატიო და პატივსაცემია, თუმცა, ჯერ-ჯერობით სათანადოდ დაფასებული ვერ არის. იმედიან წელიწადს გისურვებთ!

ჩემო ძვირფასო ახალგაზრდებო, ჩვენო საამაყო სტუდენტებო, მინდა გულწრფელად დაგლოცოთ, მოგილოცოთ ახალი წლის შემოსვლა, რომელმაც თქვენ ბევრი ახალი წარმატება და სიხარული უნდა მოგიტანოთ. თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი უნივერსიტეტის მომავალი და რამდენად წარმატებული იქნება ჩვენი ხვალინდელი დღე, სწორედ თქვენს კარგ კაცობაზე და კარგ ქალობაზეა დამოკიდებული, თქვენს მზაობაზე – ისწავლოთ, იშრომოთ ბევრი, რათა ჩვენი იმედებიც გაამართლოთ და თქვენი მშობლების ამაგიც დააფასოთ.

ბედნიერი შობა-ახალი წელი გაუთენდეს ჩვენს სამშობლოს, თითოეული ოჯახისათვის სიუხვე და სიმშვიდე მოეტანოს, მრავალჟამიერ!

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲦᲔᲚᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �თᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ

23 დეკემბერს საქართველოს მწერალთა სახლში შედგა XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის IV ტომის პრეზენტაცია. გამოცემა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, პროფესორმა ქეთევან გიგაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ახალი ტომი, რომელიც წინა ორი ტომის მსგავსად, დაეთმო გრიგოლ ორბელიანის წერილებს. გამოცემაში შევიდა პოეტის 77 წერილი, რომელთაგან 37 პირველად გამოქვეყნდა. დღეისათვის მრავალტომეულში უკვე დაბეჭდილია გრიგოლ ორბელიანის 268 წერილი, რომელთაგან 63 პირველად გამოქვეყნდა. პროექტის ფარგლებში დათარიღდა ქართველ მწერალთა 111 პირადი წერილი. გრიგოლ ორბელიანის წერილების გამოცემა გრძელდება. 2014 წელს გამოიცემა მისი წერილების IV ნაწილი, რომელსაც დაეთმობა ეპისტოლური მემკვიდრეობის V ტომი.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ქართული ფილოლოგიური და ისტორიული მეცნიერების კორიფეები: აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ავთანდილ არაბული; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვაჟა შენგელია; მწერალი კობა არაბული; პროფესორები: გიორგი გოგოლაშვილი, ოთარ ჟორდანია, გელა ყიფიანი, მაია ნინიძე, იოსებ ჭუმბურიძე, ნიკო ჯავახიშვილი, იზა ჩანტლაძე, მანანა ასათიანი, ჯული გაბოძე, მაია არველაძე, ლია კიკნაძე, ეთერ ქავთარაძე და სხვები. მეცნიერებმა მაღალი შეფასება მისცეს აღნიშნულ გამოცემას.



XIX-XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲘᲤᲔᲝᲜᲗᲐ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ

2013 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ, 15:00 ᲡᲐᲐᲗᲘ

გაგრძელება მე-2 გვ.

ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ „ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ“

2014 წლის 7-16 თებერვალს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდება ზამთრის სკოლა „სწავლების ინოვაციური ორიენტირები“. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელია პროფესორი ნინო სოზაშვილი.

ღონისძიებების განრიგი და ჩამონათვალი გაწერილია პროექტის მიხედვით:

7 თებერვალს მონაწილენი ჩამოვლენ თელავში და მეორე დღეს საზეიმოდ გაიხსნება ზამთრის სკოლა. ამავე დღეს იგეგმება ორი ლექცია – „განათლების მიზნები XXI საუკუნეში“ და „სწავლების დიფერენციაცია“, აგრეთვე – ექსკურსია ალავერდში.

სკოლის მომდევნო დღეებიც დატვირთული იქნება ლექციებით: „კრეატიული აზროვნება და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“; „ინტერაქტიული სწავლების მეთოდები, თანამშრომლობით სწავლა“; „შეცვლილი როლები და ურთიერთობები სასწავლო პროცესში“; „ინკლუზიური სწავლების პრინციპები“; „სასწავლო პროცესის ახლებური გააზრება, პარადიგმის ცვლილება – სწავლებისა და სწავლის მოდელების შეპირისპირებითი ანალიზი“; „ინტელექტუალური და მორალური განვითარების თეორია“ და სხვ. ჩატარდება საჩვენებელი გაკვეთილები და მოხდება მათი განხილვა-ანალიზი.

პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში დაგეგმილია მრავალი კულტურული ღონისძიება, ექსკურსია ნეკრესში, გრემში, წინანდალში, იყალთოსა და შუამთაში, თელავის დათვალიერება.

საზეიმო დახურვა გაიმართება 15 თებერვალს, სადაც შეჯამდება ზამთრის სკოლის შედეგები, სილაბუსის პრეზენტაცია და შეთავაზება თელავის უნივერსიტეტისათვის, სამომავლო თანამშრომლობის დაგეგმვა; მოეწყობა გამოსამშვიდობებელი საღამო, მონაწილეებს კი გადაეცემათ სერთიფიკატები.

როგორც პროექტის ხელმძღვანელმა ნინო სოზაშვილმა განაცხადა, ზამთრის სკოლაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა, რის შემდგომაც შეირჩევიან სკოლის მსმენელები. მისივე თქმით, განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 15 იანვარი.

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲗᲐᲜ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲓᲐ

იუსტიციის სასწავლო ცენტრმა რეგიონულ უნივერსიტეტებთან და თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. დოკუმენტს ხელი მოაწერეს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნინო ციხისთავი-ხუციშვილმა და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებმა.

„მემორანდუმის მთავარი მიზანი ისეთი ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელებაა, რომლებიც მიმართულია კვლევის, სამართლის პოპულარიზაციის, საგანმანათლებლო საქმიანობისა და სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისაკენ. სახელმწიფო უნივერსიტეტების გარდა, იუსტიციის სასწავლო ცენტრს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატსა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციასთან (ELSA) აქვს გაფორმებული.“ – აღნიშნა ნინო ციხისთავი-ხუციშვილმა.

მემორანდუმი გაფორმდა: თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტთან, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ბათუმის საზღვაო აკადემიასთან.

თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ერთობლივი პროგრამების განხორციელებას ისახავს მიზნად, უკვე გაფორმდა და მოქმედებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან,სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტსა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან.

„დღეს მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების მონაწილენი ვართ. მემორანდუმის გაფორმება იუსტიციის სასწავლო ცენტრთან დაეხმარება ჩვენი უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის სპეციალობის სტუდენტებს ამ ცენტრის მეშვეობით გაიარონ პრაქტიკა, სტაჟირება და გაუჩნდეთ დასაქმების რეალური პერსპექტივა. დავგეგმეთ სხვა სამომავლო ღონისძიებებიც, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის წარმატებულ საქმიანობას. ისიც მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მოქმედი იუსტიციის ორი ცენტრიდან ერთი მდებარეობს ყვარელში და სწორედ ამ ბაზის ერთობლივი ღონისძიებებისთვის გამოყენება დგება დღის წესრიგში, სადაც გაიმართება ტრენინგები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, შესაძლოა – საზაფხულო სკოლაც მოეწყოს... ასე, რომ ამ მემორანდუმით ბევრ სასარგებლო საქმეს ეყრება საფუძველი“ – აღნიშნა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ავთანდილ ღელაღუტაშვილმა.

მემორანდუმის ხელმოწერაში, რექტორთან ერთად, მონაწილეობდა თესაუს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნელი ცქიტიშვილი.

იუსტიციის სამინისტროში გამართული ხელმოწერის ცერემონიალის შემდეგ, უნივერსიტეტების წარმომადგენლები და სტუმრები იუსტიციის სასწავლო ცენტრს ეწვივნენ, მისი ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და ცენტრის მუშაობას გაეცნენ.

მე ასეთი უნივერსიტეტი მინდა...

23 დეკემბერი. თბილისი. მწერალთა სახლი – დღე, რომელიც გამორჩეული იყო თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებაში; დღე, რომელმაც თავი მოუყარა

ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების კორიფეებს და თელაველმა მკვლევარებმა მათ წინაშე წარადგინეს პროექტის „ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა“ მე-4 ტომი - გრიგოლ ორბელიანის წერილები.

ხაზგასმით აკადემიური გარემო, აკადემიური გამოცემა, აკადემიური პრეზენტაცია... ამ დღემ არა მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელს - ქეთევან გიგაშვილს, მის მონაწილეებს - მაია ნინიძეს, გიორგი ჯავახიშვილს, არსენ ბერთლანს, ნანა რჩეულიშვილს და სხვა წევრებს მოუტანა წარმატება და სიამაყის განცდა, არამედ - თელავის უნივერსიტეტის თითოეულ წარმომადგენელს. „საშვილიშვილო“, „საქვეყნო“, „საერო“, „შესაშური“ - ხშირად ისმოდა გამომსვლელთაგან ეს სიტყვები, უცილობელი დასტური იმისა, რომ სავსებით შესაძლებელია პატარა უნივერსიტეტებშიც გაკეთდეს დიდი საქმეები.

„მე ასეთი უნივერსიტეტი მინდა, ასეთი აკადემიურობა, ასეთი ნიჭიერება, ასეთი სულიერება...“ - ხმამაღლა და გულწრფელად გავუზიარე კოლეგებს ჩემი განწყობა შეხვედრის დასრულებისას და ამით თითქოს პროტესტი გამოვხატე იმ გარემოს მიმართ, რომელიც ხელოვნურად შეიქმნა ან ქმნიან ჩვენი უნივერსიტეტის ირგვლივ. კარგი იქნებოდა, ყველას მისცემოდა ამ დიდებული დღის განცდის სიამოვნება!

...გამოსვლის მსურველს ბოლო არ უჩანდა, ყველა დამსწრეს უნდოდა მცირე საქებარი მაინც ეთქვა პროექტის ჯგუფისთვის. მეტად დასამახსოვრებელი იყო თბილისელი მოსწავლის ელენე ქამუშაძის სიტყვები: „ეს წიგნები დიდ დახმარებას გაგვიწევს სკოლის მოსწავლეებს, რადგან თითოეული მწერლის შესწავლისას სათითაოდ ვეძებთ ხოლმე მათი ცხოვრების ამსახველ ეპისტოლეებს. მადლობა თქვენ, რომ ერთად უყრით თავს ამ მემკვიდრეობას“. მამა ილიამ (ნუგზარ ჩიკვაიძე) ყურადღება გაამახვილა ნაშრომების ეროვნულ მნიშვნელობაზე, რადგან გლობალიზაციის ეპოქაში ისეთ მცირერიცხოვან ერებს, როგორიც ქართველობაა, ასეთი ეროვნული პროექტები შემოუნახავს იდენტობას, ისტორიას, ტრადიციებს, კულტურას... სწორედ ასეთ ფასეულობებზე უნდა გაიზარდოს თაობები.

გაზეთის მცირე ფორმატი ნამდვილად ვერ დაიტევს სრულად გადმოგცეთ დამსწრე საზოგადოების განწყობა, ამიტომ მათი გამოსვლების მხოლოდ ფრაგმენტებს შემოგთავაზებთ.

ნელი ცქიტიშვილი

მარიკა ლორთქიფანიძე: დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თელავის უნივერსიტეტი ერთ-ერთი საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში. ამ პროექტის წარმოდგენით ბევრი ისეთი რამ გავიგე, რაც უცნობი იყო ჩემთვის. რა დიდ ტკივილს ატარებდა, როგორ სტკიოდა სამშობლო გრიგოლ ორბელიანს და ამის გამხელა მხოლოდ ახლობელი ადამიანებისთვის შეეძლო. სამწუხაროდ, ეს ჟანრი აღარ არსებობს და, ამდენად, უფრო მეტად ფასეულია თელაველ მეცნიერთა შრომა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ქართველ მწერალთა ეპისტოლეები ერთად მოიყრის თავს და აღარ გაიფანტება. ნამდვილად დიდი სამუშაოა ჩატარებული მეცნიერულ დონეზე, ნამდვილად დიდი მოვლენის მონაწილენი ვართ. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით პროექტის ავტორებს. იმედია, ტომებად გამოცემულ და ერთად თავმოყრილ ამ დიდ მემკვიდრეობას ვიხილავთ.

გიორგი გოგოლაშვილი: „თელავის უნივერსიტეტის ბევრ საინტერესო წამოწყებათაგან ეს პროექტი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პროექტია. უკვე გამოცემული წიგნების გაცნობამ იმდენი საინტერესო და ჩემთვის უცნობი ფაქტი წარმოაჩინა, გაოცებული დავრჩი. მარტო ის რად ღირს, როგორ განიცდის გ.ორბელიანი ტატო ბარათაშვილის ბედს. არადა, ერთ-ერთი მთავარი საყვედური მის მიმართ ის ისმოდა, რომ არ აინტერესებდა დისშვილის ბედიო...

ეს წიგნები მრავალმხრივაა საინტერესო; განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ XIX საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში ბევრ კორექტივს შეიტანს, ბევრ ახალ ფურცელს გაშლის“.

ავთანდილ არაბული: „გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობა უცთომელი სარკეა იმ ურთულესი ეპოქისა, როდესაც ქართული არისტოკრატია და საერთოდ, წიგნიერი საზოგადოება დიდი მერყეობის ზღვარზე

დგას იმპერიის მიღება-არმიღებას შორის, მდგომარეობის შეგუება-არშეგუებას შორის. თვით გრიგოლი ამ გაორების კარგი გამოხატულებაა. ამ სერიის წამოწყებით, პროექტის ავტორებმა კარგი სამსახური გაუწიეს ქართულ წყაროთმცოდნეობას, ისტორიას, ფილოლოგიას. ქება მათ შრომას!

მანანა ასათიანი, ლუიზა ხვიჩია: „ წიგნის პრეზენტაცია ჩატარდა ბრწყინვალედ. ერთხელ კიდევ დავინახეთ, როგორი რთული და საინტერესო სამუშაო ჩაატარეს მკვლევარებმა. გრიგოლ ორბელიანის წერილების შესწავლა ნიშნავს მთელი XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ცოდნას და იძლევა კავკასიის ბრძოლის ნათელ სურათს. ამ ბრძოლაში გრიგოლ ორბელიანს წამყვანი ადგილი ეკავა. წიგნში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წერილების დათარიღება, ამასთან, მკვლევარებმა ბევრი უცნობი სიტყვა ახსნეს.

ავტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი შრომა გასწიეს და ერთხელ კიდევ თვალწინ გადაგვიშალეს გრიგოლ ორბელიანის რომანტიკული ცხოვრება.

ვაჟა შენგელია: „დღევანდელმა ღონისძიებამ კარგად წარმოაჩინა ის დიდი მუშაობა, რაც ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა გასწიეს XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ეპისტოლური მემკვიდრეობის შესაკრებად და გამოსაქვეყნებლად. განსაკუთრებით შთამბეჭდავია გრიგოლ ორბელიანის წერილების სათანადოდ წარმოჩენა... სასურველია ამ მეტად საჭირო და საშური საქმის გაგრძელება. იმედია, პროექტის მონაწილეებს ექნებათ სათანადო მხარდაჭერა, და ეს მართლაც საერთო ეროვნული მნიშვნელობის მქონე სამუშაოები წარმატებით დასრულდება.“

იოსეგ ჭუმგურიძე: „იმ დროს, როდესაც თბილისში მიზანმიმართულად ანგრევდნენ უნივერსიტეტს და კლავდნენ უნივერსიტეტის სულს, ეს სული თელავის უნივერსიტეტში გადარჩა. ეს პროექტი ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა. ნუ შეგვეშინდება ტრაფარეტული გამოთქმის: „ეს, მართლაც, საშვილიშვილო საქმეა“.

პირადი წერილები ჰქვიათ, მაგრამ საქვეყნო სატკივარს შეიცავენ. ეს დიდი პუბლიცისტიკაა, რომელსაც შესწავლა სჭირდება. ნებისმიერი სხვა უნივერსიტეტი ისურვებდა თელავის უნივერსიტეტის ადგილზე ყოფნას იმიტომ, რომ მან მოიპოვა უპირატესობა გამოიკვლიოს და გამოსცეს ეს მდიდარი საგანძური.

კობა არაბული, პოეტი: ძალიან მიხარია, რომ ამ წიგნის პრეზენტაციას დავესწარი. სწორედ ეპისტოლეებშია თავშეფარებული ერის ისტორია, კულტურა, ტრადიციები... ნამდვილად საჭირო და სასახელო შრომა გასწიეს თელაველმა მეცნიერებმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეპისტოლური მემკვიდრეობა თანამედროვე კომპიუტერიზებულ ეპოქაში, როდესაც ხელნაწერების არსებობაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. არადა, ხელნაწერებმა უნდა შემოინახოს ქართული დამწერლობა; რაც შეიძლება მეტი კლასიკოსის ნაწარმოები უნდა გადავწეროთ ხელით და ასე გადავცეთ თაობებს, საუკუნეებს ქართული კალიგრაფია.

ვიცი - თელავის უნივერსიტეტი, ვიცი - თქვენი შესაძლებლობები, ამიტომ იმედი მაქვს, პროექტი გაგრძელდება და კიდევ ბევრ ასეთ ტომს მივიღებთ. გილოცავთ, ეს მართლაც საქვეყნო საქმეა!

ოთარ ჟორდანია: დღევანდელი დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ თანამედროვე ცხოვრებაში ისეთი მტკივნეული პროცესები მიმდინარეობს, როდესაც ეროვნული ცნობიერება იშლება, ეროვნული მეცნიერება დაბლა იწევს; ან დავკარგეთ, ან ვკარგავთ ჩვენს ფასეულობებს. ამ ფონზე თელავის უნივერსიტეტის მეცნიერთა საქმიანობა მართლაც დიდებულია! მათ ჩვენს თვალწინ გადაშალეს დიდი ეპოქა,- რას ფიქრობდნენ 32-იანელები საქართველოს თავისუფლებაზე. ისტორიკოსი ვარ და ყველაფერს მაინც ისტორიკოსის თვალით ვაფასებ. დღეს კიდევ ერთხელ დავინახეთ გრიგოლ ორბელიანი - მსახური იმპერიისა, რომლის გულიც სამშობლოსთვის ძგერდა, კიდევ ერთხელ ვეზიარეთ მის მდიდარ ენას, რომელიც ზღვასავით უძიროა მხატვრული შედარებებით.

ავთანდილ ღელაღუტაშვილი: დღეს განსაკუთრებულად ამაყი ვარ: ვისმენ უამრავ საქებარს იმ უნივერსიტეტზე, რომელსაც ჩემი მომავალი დავუკავშირე, ამ ქებას კი ვისმენ იმ ადამიანებისგან, ვინც დედა უნივერსიტეტში - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლიდა, მათ შორის – ქ-ნი მარიკა ლორთქიფანიძისგან. დღეს განსაკუთრებულად სასიამოვნოა ჩემთვის, როგორც ამ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელისთვის, რომ ასეთ კოლეგებთან, ასეთ მკვლევარებთან ერთად მიწევს საქმიანობა, რომლებიც საერო და საქვეყნო საქმის კეთებას შეუდგნენ. აღსანიშნავია, რომ თელავის უნივერსიტეტმა, მიუხედავად მოკრძალებული

ბიუჯეტისა, მაინც გამონახა თანხები ამ პროექტის დასაფინანსებლად. შემდგომ უკვე რუსთაველის ფონდმა განაგრძო საქმე. იმედია, მუშაობა გაგრძელდება და ჩვენ მომსწრენი გავხდებით მე-19-მე-20 საუკუნეების გამოჩენილ მოღვაწეთა ეპისტოლური მემკვიდრეობის დასრულებული გამოცემისა. მადლობა პროექტის ხელმძღვანელს ქეთევან გიგაშვილს და მის ყველა მონაწილეს ამ ღვაწლისათვის.

გელა ყიფიანი: დიდი სიამოვნება მომანიჭა წიგნის პრეზენტაციამ, სიამოვნება იმიტომაც, რომ ეს პროექტი ხორციელდება თელავის უნივერსიტეტში, სადაც ბევრი შესანიშნავი ადამიანი მოღვაწეობს. განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო ქ-ნ ქეთევან გიგაშვილის შრომა, რომელმაც შეკრიბა გუნდი და ამ საშვილიშვილო საქმეს შეუდგნენ. ქეთევანმა აჩვენა, რომ სავსებით შესაძლებელია იყო ოჯახის დიასახლისი, დედა, მეუღლე და იყო კარგი მეცნიერი, აკეთო საქვეყნო საქმე. მადლობა მას ამისათვის.

საერთაშორისო ურთიერთობები

ერასმუს მუნდუსის პროექტით – ბელგიაში

მეოთხე თვე დაიწყო, რაც ერასმუს მუნდუსის პროექტის – ALRAKIS II ფარგლებში ვიმყოფები ბელგიისა და ევროპის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში, რომელიც, ამავდროულად, მსოფლიოში ყველაზე წარმატებულ უნივერსიტეტთა სიაშია – ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში. ჩემი მხრიდან უმადურობა იქნებოდა, ორიოდე სამადლობელო სიტყვა არ ვთქვა ამ პროგრამის შესახებ, რადგან, სწორედ ამ პროგრამამ მომცა საშუალება განმეორციელებინა ჩემი ყველაზე სანუკვარი ოცნება ევროპული

განათლების შესახებ. ერასმუსის პროგრამები გზას უხსნის მსოფლიოს მრავალ სტუდენტსა თუ მკვლევარს მობილობის საშუალებით ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში მიიღონ ხარისხიანი განათლება-გამოცდილება. ამასთან ერთად, ეს არის საუკეთესო საშუალება სხვა ქვეყნებთან დაახლოების, მათ კულტურასთან თანაზიარობისა და საკუთარი ქვეყნის პოზიტიური მხარეების წარმოჩენისა; ეს არის არაჩვეულებრივი საშუალება კულტურათაშორისი დაახლოებისა და დიალოგისათვის. ამის კარგი მაგალითია სწორედ ის, რომ დაპირისპირებული ქვეყნების წარმომადგენლებიც კი, თავისუფლად პოულობენ საერთო ენას და ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ახერხებენ თანაცხოვრებას განათლების შუამავლობით. ეს არის პროექტი, არა მარტო უკეთესი განათლების მისაღებად, არამედ, ასეთი ურთიერთობების წასახალისებლადაც.

დღეს, ლუვენის უნივერსიტეტი იუბილარია. მას 588 წელი შეუსრულდა და მიუხედავად სოლიდური ასაკისა, იგი რჩება, როგორც ძლიერი ხიდი ძველსა და ახალ თაობას შორის. 50 000-ზე მეტი ადგილობრივი თუ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტი ლუვენის უნივერსიტეტის ქუდის ქვეშ ბელგიის სხვადასხვა ქალაქში იღებს განათლებას. თავად ლუვენი, პატარა, ძველი და საყვარელი სტუდენტური ქალაქია, სადაც ყველა შენობა უნივერსიტეტის სიმბოლოს ატარებს და მუდმივად იმის განცდა დაგყვება, რომ მთელი ქალაქი ერთი დიდი უნივერსიტეტია უამრავი საუნივერსიტეტო კორპუსით; შესაშურად ძლიერი ინფრასტრუქტურით, ერთიანი, კომპიუტერიზებული სასწავლო თუ ადმინისტრაციული სისტემითა და კვალიფიციური აკადემიური პერსონალით. აღარაფერს ვამბობ იმ სამეცნიერო მუშაობაზე, რასაც გამოცდილი პროფესორები თუ ახალგაზრდა მკვლევარები, სტუდენტებთან ერთად აწარმოებენ. ეს არის უნივერსიტეტი, რომელიც სტუდენტთა მაჯისცემაზეა მომართული.

აქ ყოფნის სამი თვის გადასახედიდან, ეს დრო, თითქოს ბევრი არ არის იმისათვის, რომ ცოდნის დიდი კაპიტალი დააგროვო, თუმცა უდავოდ დიდი სტიმულია, რომ მაქსიმალური გააკეთო. ის, რისი გაკეთებაც ყოველთვის არ არის შესაძლებელი საკუთარ უნივერსიტეტში.

ლუვენის უნივერსიტეტში ყოფნის მიზანი, როგორც ეს წინდაწინ შეთანხმებული სამუშაო გეგმითაა გაწერილი, ძირითადად, ემსახურება ჟურნალისტიკის კურიკულუმის შედგენისა და მისი ეფექტური რეალიზაციის დეტალების შესწავლას. პროფესიულ კომუნიკაციას ახლავს თავისი სიძნელეებიც, რაც, ძირითადად, თავისუფალი დროის დეფიციტით აიხსნება, მაგრამ აქაური კოლეგების მხრიდან ნამდვილად იგრძნობა მზაობა, დაუზარებლად მოახდინონ მათში არსებული სასარგებლო გამოცდილების გაზიარება. არის მომენტები, როცა რომელიმე შეხვედრისთვის თვეზე მეტი გჭირდება, მაგრამ ამავდროულად, ეს არის სიახლის გაგების სასიამოვნო მოლოდინი, რაც არაერთხელ მქონდა ლუვენის, გენტის, ანტვერპენისა და ბრიუსელის უნივერსიტეტებში.

და ბოლოს, მინდა ვთქვა, რომ ევროპას აქვს თავისი ძლიერი ხიბლი, თავისი ღირებულებების სისტემა, მაგრამ აქვს ასევე ბევრი საცდურიც. ვისურვებდი, რომ ჩვენი ქვეყნის მზერა მხოლოდ მაღალ, ღირებულ ფასეულობებზე ყოფილიყოს მიმართული.

ლალი ძამუკაშვილი

სამეცნიერო მივლინებით – მასაჩუსეტის უნივერსიტეტში

ხუთი თვის განმავლობაში სამეცნიერო მივლინებით ვიმყოფებოდი ამერიკის მასაჩუსეტის შტატის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის ლინგვისტიკის დეპარტამენტში. მივლინების ხარჯები მთლიანად

უზრუნველყო მასაჩუსეტის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ. ოფიციალური სპონსორი და მრჩეველი გახლდათ მასაჩუსეტის უნივერსიტეტის, ლინგვისტიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი ალისა ჰარისი.

მივლინების განმავლობაში, როგორც მიწვეულ მკვლევარს, მასაჩუსეტის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გამომიყო სამუშაო ოთახი. ვსარგებლობდი უფასო კომპიუტერული მომსახურებით.

გავეცანი მასაჩუსეტის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის სტურქტურას, ლინგვისტიკისა და ანთროპოლოგიის დეპარტამენტთა სასწავლო კურსებს, მიმართულებებს. აკადემიური წლის განმავლობაში ლინგვისტიკის დეპარტამენტში მოვისმინე საბაკალავრო და სადოქტორო სასწავლო კურსები: გენერაციული ფონოლოგია, ტრანსფორმაციული გრამატიკის სინტაქსი, სემინარი კავკასიურ ენებში, ისტორიული ლინგვისტიკა, სემანტიკის აღწერა, ენის სწავლება, სინტაქსი, ფონოლოგია. მივლინების პერიოდში გავეცანი და შევისწავლე მასაჩუსეტის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის დეპარტამენტში მიმდინარე კვლევები და თანამედროვე ლინგვისტური თეორიები. თანამედროვე თეორიების გამოყენებით ჩავატარე კვლევა ქართული ენის სინტაქსის შესახებ. ენის ანთროპოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტებს წარვუდგინე პრეზენტაცია ბაცბური ენის კვლევის მეთოდების შესახებ. ამავე დეპარტამენტის საბაკალავრო ჯგუფში მიწვეული ვიყავი როგორც მომხსენებელი, სადაც წარვადგინე ლექცია თემაზე „ბაცბური - საფრთხის წინაშე მდგარი ენა“. აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი ლინგვისტიკის დეპარტამენტში მიმდინარე კოლოქვიუმებსა და შეხვედრებში. ლინგვისტიკის დეპარტამენტის დოქტორანტთა სურვილით ვკითხულობდი ქართული ენის გრამატიკის კურსს. გავეცანი სასწავლო მეთოდოლოგიას, სილაბუსებსა და სამეცნიერო კვლევებს. ვმონაწილეობდი ამერიკის ლინგვისტთა კონფერენციაში, რომელიც ჩატარდა ბოსტონში 2013 წლის თებერვალში. გავეცანი და აქტიურად ვიყავი ჩართული უნივერსიტეტში არსებულ ორგანიზაციაში „ქალები მსოფლიოს გარშემო“. პროფესორ ალისა ჰარისთან ერთად ვამზადებდი ბაცბურ - ინგლისური ლექსიკონის მონაცემთა ბაზას, რომელზეც მუშაობასა და თანამშრომლობას განვაგრძობ მომავალშიც.

მიმაჩნია, რომ მასაჩუსეტის უნივერსიტეტში სამეცნიერო მივლინება იყო ნაყოფიერი და შედეგიანი სასწავლო-სამეცნიერო კუთხით. ჩემ მიერ შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურა, მიღებული სამეცნიერო გამოცდილება, მასაჩუსეტის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის დეპარტამენტთან მომავალი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტის განვითარებას, ახალი სამეცნიერო კვლევებისა და სასწავლო კურსების დანერგვას.

მარი ცისკარიშვილი

აქტიური თანამშრომლობისკენ მოგიწოდებთ

ყველა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო კავშირები, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, რადგან ასეთი ურთიერთობები გავლენას ახდენს როგორც სწავლების ხარისხის განვითარებაზე, ისე პროფესიულ ზრდაზე. ამჟამად ჩვენს უნივერსიტეტში მიმდინარეობს რამდენიმე საერთაშორისო პროგრამა, ესენია TEMPUS, ERASMUS MUNDUS, BOMUP.

TEMPUS-ის ეგიდით შემდეგი პროექტები მიმდინარეობს: Sutoma – საერთაშორისო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის ახალი მოდულების შემუშავება მდგრადი ტურიზმის მიმართულებით; DOIT – საერთაშორისო მოდელის შემუშავება მულტიკულტურული განათლების მიმართულებით; CASEDE – საკარიერო ცენტრის შექმნა საქართველოში.

სულ ახლახანს დაფინანსდა ორი პროექტი: LLL – უწყვეტი განათლების ქსელების განვითარება სომხეთში, საქართველოსა და უკრაინაში. (შვედეთის უნივერსიტეტის თაოსნობით) და კურიკულუმების შექმნა და

განვითარება ჰემატოლოგიის მიმართულებით. (ინგლისის ვესტმისტერის უნივერსიტეტის თაოსნობით).

რაც შეეხება ERASMUS MUNDUS-ს, მიმდინარეობს გაცვლითი პროექტის ორი ეტაპი. ამ ეტაპზე ევრო კომისიას გამოცხადებული აქვს სტიპენდიები ბაკალავრიატის, დოქტორანტურის, დოქტორანტურის შემდგომი კვლევისთვის. საბუთების შეტანის ბოლო ვადა იყო 15 დეკემბერი, მაგრამ გადაიწია 2014 წლის 15 იანვრამდე. ქვეყნები, სადაც ჩვენს სტუდენტებს აქვთ წასვლის საშუალება არის: იტალია, საფრანგეთი, ბელგია, პოლონეთი, გერმანია, შვედეთი, ფინეთი.

გასულ წელს აღნიშნული პროექტით ისარგებლა ერთმა ბაკალავრმა, ერთმა მაგისტრმა, ერთმა პოსტ დოქტორანტმა და ერთმა აკადემიურმა პერსონამ. წლევანდელი წლის შერჩევის პასუხები ცნობილი გახდება 2014 წლის აპრილის ბოლოს, ხოლო შერჩეული სტუდენტები ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში გაემგზავრებიან 2014 წლის სექტემბრიდან.

ახლა ვმუშაობთ, რომ შევქმნათ ინგლისურენოვანი კურსები, რაც საშუალებას მოგვცემს ჩავერთოთ ერასმუსის ახალ პროექტებში, რომელიც გამოცხადდება 2014 წლის დასაწყისიდან.

სამომავლოდ ვფიქრობთ ახალი პარტნიორი უნივერსიტეტების მოძიებას, რომელთანაც ვითანამშრომლებთ ერასმუსის პროგრამების ფარგლებში. მიმდინარეობს ახალ პროექტებზე მუშაობა, კერძოდ, შვედ კოლეგებთან ერთად საჯარო მმართველობის მიმართულებით ერთობლივი კურსის შემუშავებაზე. ველოდებით კიდევ რამდენიმე პროექტის დაფინანსებას: მილენიუმის პროგრამის ფარგლებში – აგრონომიის მიმართულებით და გერმანიის პოსტდამის უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული პროექტის – „გარემო ფაქტორების შეფასება მოტივირებული ინდუსტრიული ნარჩენების და ოპტიმალური გზების მოძიება მეორადი ნაგვის რეაბილიტაციისათვის“ – დაფინანსებას.

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური მოუწოდებს სტუდენტებს, მკვლევარებს, უფრო აქტიურად ითანამშრომლონ ჩვენთან, რადგან წარმატების შანსი ეძლევა ყველას, ვინც უკეთეს შედეგს აჩვენებს.

თამარ ასლანიშვილი

ეს ჩვენი ისტორიაა...

გიორგი ლეონიძის ხელდასხმული

„ვულოცავ ამაგდარ ინსტიტუტს სახელოვან 25 წლისთავს, ვუსურვებ პატარა კახისებრ გამარჯვებას, ახალი სახელის დამკვიდრებას. განათლდი, განახლდი კახეთო, შენი სხივი საინგილოსაც მისწვდომოდეს, გაუთენოს და გაუნათოს... ძმურად მოგესალმებით მესვეურებო, პედაგოგებო, მასწავლებლებო, ვეფხვი და მერანი ეხატოს თქვენს მისწრაფებებს.

თქვენი გიორგი ლეონიძე“.

გიორგი ლეონიძე, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მუხლჩაუხრელად იდგა ქვეყნისა და ხალხის სამსახურში. მისი მოღვაწეობის სასიკეთო მადლი თელავის უნივერსიტეტსაც მოეცხო. დღეს რომ თელავის უნივერსიტეტი იაკობ გოგებაშვილის სახელობისაა, ამის ერთ-ერთი ინიციატორი გიორგი ლეონიძე გახლდათ.

27 დეკემბერი გიორგი ლეონიძის დაბადების დღეა. ამიტომ გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ გაგვეხსენებინა ქართული სიტყვის დიდოსტატი, მისი კავშირი ჩვენს უნივერსიტეტთან, მისი სიკეთე, მისი ზრუნვა-ამაგი... იმიტომაც რომ, როგორც თვითონ იტყოდა, – „...თორემ ასი წლის შემდეგ თქვენც ასე დაგივიწყებენ“.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ქართული სიტყვის დიდოსტატი გიორგი ლეონიძე გახლდათ არა მხოლოდ მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მწერალი და მეცნიერ-მკვლევარი, არამედ იმავდროულად – მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე, ყველას დამხმარე და ქომაგი. სწორედაც რომ მას ჰქონდა უფლება თამამად ეთქვა: საუკუნე მომაქვს მხრებით... იგი საქმითა და სიტყვით მუხლჩაუხრელად იდგა ქვეყნისა და ხალხის სამსახურში. ამიტომაც სრულიადაც არ იყო მოულოდნელი, რომ მისი უშურველი სიკეთის მადლი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც მოეცხო.

გიორგი ლეონიძე ერთ-ერთი მოთავე იყო, რომ კახეთის ცენტრში, თელავში, დაარსებულიყო უმაღლესი სასწავლებელი. მართლაც, 1939 წელს გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც განთავსდა მეფე ერეკლე II-ის სასახლეში. 1962 წელს გიორგი ლეონიძე ესტუმრა თელავს სახელოვან რუს მწერალ მიხეილ შოლოხოვთან ერთად. ცხადია, პოეტმა მოინახულა ინსტიტუტიც და ყველას მოუწოდა, გაფრთხილებოდნენ ერეკლე მეფის ნაფუძარზე ფეხადგმულ საგანმანათლებლო კერას. დღეს რომ ეს უნივერსიტეტი იაკობ გოგებაშვილის სახელს ატარებს, გიორგი თავზიშვილთან ერთად გიორგი ლეონიძის ინიციატივის შედეგიცაა.

ამის თაობაზე, პოეტი დოც. ალ. გვენცაძეს სწერდა: „თქვენი ინიციატივა მე მიყვარს და მინდა იცოდეთ, რომ ის თავის დროზე მე და გიორგი თავზიშვილმა მოვნათლეთ იაკობ გოგებაშვილის სახელზე“.

გიორგი ლეონიძე გულმხურვალედ ეხმაურებოდა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის (ახლანდელი უნივერსიტეტის) თითოეულ წარმატებულ ნაბიჯს. ინსტიტუტის დაარსების 25 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე პოეტი ვერ ჩამოვიდა ავადმყოფობის გამო; სამაგიეროდ გამოგზავნა უაღრესად შთამბეჭდავი მოსალოცი: „ვულოცავ ამაგდარ ინსტიტუტს სახელოვან 25 წლისთავს, ვუსურვებ პატარა კახისებრ გამარჯვებას, ახალი სახელის დამკვიდრებას. განათლდი, განახლდი კახეთო, შენი სხივი საინგილოსაც მისწვდომოდეს, გაუთენოს და გაუნათოს... ძმურად მოგესალმებით მესვეურებო, პედაგოგებო, მასწავლებლებო, ვეფხვი და მერანი ეხატოს თქვენს მისწრაფებებს.

თქვენი გიორგი ლეონიძე“.

აქაც შესანიშნავად ჩანს ქვეყნის ყველა კუთხისადმი მამულიშვილური ზრუნვა.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ გიორგი ლეონიძის დაბადების 100 წლისთავზე მის სახელდებულ პედაგოგიურ ინსტიტუტს 1999 წელს მიენიჭა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი.

გიორგი ლეონიძეს ინტენსიური მიმოწერა ჰქონდა იმდროინდელი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა მისი წერილები თელაველ მეცნიერებთან – ალ. გვენცაძესთან, გიორგი ჯავახიშვილთან, სტუდენტებთან... სადაც გამოსჭვივის ლეონიძისეული უშურველი ზრუნვა ინსტიტუტზე, მის თანამშრომლებსა და სტუდენტებზე. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ საოჯახო არქივებში დაცულ მის რამდენიმე წერილს:

ალექსანდრე გვენცაძეს:

„დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე!

სალამი თქვენ და ყველა თელაველს!

თქვენი შედგენილი წიგნის საქმე, ს. გოშაძის კრებულის გამოცემისა, სასიკეთოდ შემობრუნდა. გამომცემლობის მესვეურებს ველაპარაკე და შემპირდნენ.

ბ. ალექსანდრე! რა მოხდა, ვინ და რატომ დაუკარგეს თელაველებს ბატონის წყარო? მე ველაპარაკე მედეა მეზვრიშვილს და შემპირდა, რომ იზრუნებს. თქვენც მხარში ამოუდექით. საზოგადოდ, ჩვენი ინსტიტუტი დარაჯად უნდა ედგეს ყველა ეროვნულ საქმეს.

წელს თქვენი ინსტიტუტის სტუდენტი გახდა ჩემი შვილობილი გიორგი ჯავახიშვილი. კარგი ყმაწვილია, ობლად გაზრდილი და მას ჩემი ხელფასიდან ყოველთვე მიუვა 50 მანეთი. ეგ ჩემი სახელობის სტეპენდიანტი იქნება. მეც უმამოდ გავიზარდე და დღესაც კეთილად ვიხსენებ იმათ, ვინც ჩემს ახალგაზრდობაში ამაგი დამდო. დარწმუნებული ვარ, თქვენც არ მოაკლებთ ყურადღებას. ბატონმა ნიკომაც იცის და თქვენც შეგიძლიათ მაგ ყმაწვილის საშუალებით დამიკავშირდეთ. თელავში ეგ იქნება ჩემი ელჩი.

დავით გოგოჭურის ცხოვრებისა და სამსახურის ბედიც მაწუხებს; იცით, რომ თქვენთანაც და ჩვენთანაც მუშაობს. უჭირს, და ისე დაუნიშნეთ ლექციები, რომ ხელი არ შეეშალოს ორივე სამსახურში.

თქვენი ინსტიტუტი მე მიყვარს და მინდა იცოდეთ, რომ ის თავის დროზე მე და გიორგი თავზიშვილმა მოვნათლეთ იაკობ გოგებაშვილის სახელზე.

თქვენი გიორგი ლეონიძე
22 დეკემბერი, 1962 წელი“.

* * *

„პატივცემულ ალექსანდრეს! სალამი და დღეგრძელობა!

მცირე სათხოვარით მინდა შეგაწუხოთ: თქვენთან ასრულებს კურსს ბანცურაშვილი (ლექსებსაც წერს, ნიჭიერი გოგონაა). მე მინდა სადმე მოვაწყო თბილისში ან გარეთ რედაქციებში, თუ მოსახერხებელია, იქნებ არ გაანაწილოთ. თუ ჩემი თხოვნის შესრულებას შეძლებთ, იქნებ გააგებინოთ მას, რომელიც მეტად ნერვიულობს.

კვლავ ბოდიში შეწუხებისათვის.

სალამი მეგობრებს და დავით რექტორის მემკვიდრეს ჩვენს ნიკოს, ყაჭიურს, ვანოს და სხვ.

სიტყვამ მოიტანა და რადა გყავთ მიგდებული დავით რექტორი. თელავის პირველი რექტორი, – განმანათლებელი, თავის დროისათვის ძალზე ცნობილი ფიგურა. მასალები საკმაოა. მისი ნაწერები თუ გადმონაწერები აუარებელია. ჩაუჯექით ვინმე და დაწერეთ მის შესახებ ნაშრომი. ამას გარდა, დაახატვინეთ მისი სურათი და თქვენს ინსტიტუტში, დარბაზში ჩამოჰკიდეთ.

არ გეპატიებათ. ნიკოსაც მოახსენეთ, თორემ ასი წლის შემდეგ თქვენც ასე დაგივიწყებენ.

თქვენი გიორგი ლეონიძე“ხხხხ

„გოგი ჯავახიშვილს!

გავითვალისწინე რა თქვენი მდგომარეობა, მსურს ჩაებათ ინსტიტუტისათვის სასარგებლო საქმიანობაში. ეს გახლავთ ქართული ზეპირსიტყვიერების მასალების შეკრება და ჩაწერა. ამ მიზნით გავალებთ, რომ აწარმოოთ დაკვირვება თქვენი სოფლის და არამარტო სოფლის, არამედ რაიონისაც კი, თუკი ხელი მიგიწვდებათ და შეძლებთ მისვლას. თქვენს მოვალეობას შეადგენს ჩაიწეროთ ხალხური ლექსები, გინდ მარტო თელავში, გინდ სოფლებში, ამ მხრივ ორივე მდიდარია და არ გაგიჭირდებათ. გარდა ლექსებისა, შეგიძლიათ ჩაიწეროთ გადმოცემები, თქმულებები, ლეგენდები, ზღაპრები, გამოცანები, ანდაზები და სხვა სიტყვიერი ნაწარმოებნი, რომელიც კი გავრცელებულია ხალხში. ამასთანვე ყურადღება მიაქციეთ წესჩვეულებებს, საკუთარ სახელებს, როგორც გეოგრაფიულს, ასევე პიროვნულს, ჩაწერეთ ზუსტათ, როგორც მთქმელი იტყვის. ყოველ ტექსტს მიაწერეთ მთქმელის ვინაობა, ჩაწერის თარიღი და ადგილი.

თქვენს მიერ ჩაწერილი მასალა უნდა გადმოგზავნოთ ჩვენს ინსტიტუტში, ჩემს სახელზე.

თქვენი შრომის გასამრჯელოს მიიღებთ პერიოდულად მასალის წარმოდგენისთანავე. ამჟამად გიგზავნით მხოლოდ ავანსს, რომელსაც მიიღებთ ფოსტით.

გულს ნუ გაიტეხთ, დახმარებას არ მოგაკლებთ.

იყავით კარგათ. გიორგი ლეონიძე
7. VIII. 62 წ, თბილისი.“

თელავის უნივერსიტეტმაც შეძლებისდაგვარად დააფასა გ. ლეონიძის ღვაწლი და ამაგი, კერძოდ:

ქართული ფილოლოგიის კათედრასთან არსებობს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შემსწავლელი სემინარი, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ პროფესორებ-მასწავლებლები და სტუდენტები; დაწესდა გიორგი ლეონიძის სახელობის სტეპენდია;

არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა მწერლის მხატვრულ შემოქმედებას თუ სამეცნიერო სფეროს, მის ეპისტოლარულ თუ ენობრივ მემკვიდრეობას. 1973 წელს როინ ჭიკაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „გიორგი ლეონიძის თხზულებათა ლექსიკა“, სადაც ნაჩვენებია მწერლის დაუღალავი ზრუნვა ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებაზე. საიუბილეოდ გამოიცა გიორგი ჯავახიშვილის „შეხვედრები გიორგი ლეონიძესთან“ და „გიორგი ლეონიძის თვალსაწიერი“(1999წ.), რომლებშიც გამოკვლეულია პოეტის ლექსების ხელნაწერები და ე.წ. ანაზდეული ლექსები, „ნატვრის ხის“ პროტოტიპები, ლეონიძე როგორც ფიროსმანის შემოქმედების მკვლევარი, ეპისტოლარული მემკვიდრეობა და სხვა.

როინ ჭიკაძემ და გიორგი ჯავახიშვილმა შეადგინეს და 2000 წელს გამოსცეს წიგნი – „ გიორგი ლეონიძე — ნამცვრევი“, რომელშიც შევიდა როგორც უბის წიგნაკით შემონახული, ისე პრესაში გაბნეული ონომასტიკური დაკვირვებანი და საინტერესო ცნობები ქართული კულტურის მოღვაწეებზე (ფიროსმანაშვილი, გუდიაშვილი)...

ამავე წელს გამოვიდა არჩილ სპარსიაშვილის „გ. ლეონიძე თელაველთა მოგონებებში“; გიორგი ჯავახიშვილმა გამოსაცემად გადასცა გიორგი ლეონიძის ცხოვრებისა დ მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ორტომეული.

2000 წელს ჩვენს უნივერსიტეტში ჩატარდა გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება. თელავის უნივერსიტეტიდან მოხსენებით გამოვიდნენ: პროფ. ვალერიან ელანიძე – „გიორგი ლეონიძე – საქართველოს ისტორიის მკვლევარი“; დოც. მაყვალა მიქელაძე – „ზმნისწინი – დერივატი პოეტური სიტყვისა“; პროფ. ლეილა შალვაშვილი – „წელი ნაცვალსახელი გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის“ მიხედვით, პროფ. გიორგი ჯავახიშვილი – „გარექართველების თემა გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში“. პროფ. ივანე ქეშიკაშვილი – „ნასახელარ ზმნათა საკითხისათვის გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენაში“ , დოც. ლამარა იანვარაშვილი – „ქართული ხალხური პედაგოგიკა გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეში“, დოც. ლია ტალახაძე – „თავ ფუძის სემანტიკა გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის“ მიხედვით“; პროფ. როინ ჭიკაძე – „ქართლის ცხოვრება“ – გიორგი ლეონიძის თხზულებათა ლექსიკის ერთ-ერთი წყარო“; ნინო დევიძე – „კახეთი გიორგი ლეონიძის პოეზიაში“. სხვადასხვა დროს თელაველ მეცნიერებს არაერთი ნაშრომი მიუძღვნიათ გიორგი ლეონიძის შემოქმედებისათვის.

ამრიგად, გიორგი ლეონიძე ნიადაგ ზრუნავდა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზრდა-განვითარებაზე, მის თანამშრომლებსა და სტუდენტებზე. თავის მხრივ, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს გიორგი ლეონიძის მხატვრული შემოქმედებისა და მის ნაწარმოებთა უმდიდრესი ენის შესწავლის საქმეში.

გიორგი ლეონიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეს სფერო ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია მწერლისა და უმაღლესი სასწავლებლის ურთიერთთანამშრომლობას.

როინ ჭიკაძე
გიორგი ჯავახიშვილი

„რას ვურჩევ რექტორს“

ტრადიციულად, უნივერსიტეტის ფოიეში დგას ყუთი წერილებისთვის. ახლადარჩეული რექტორის თხოვნით, მას დავარქვით „რას ვურჩევ რექტორს“. მისი არსებობის ძირითადი მიზანი იმ პრობლემების მიტანაა ადმინისტრაციამდე, რაზეც, შესაძლოა, ხმამაღლა ვერ ან არ ილაპარაკონ სტუდენტებმა თუ თანამშრომლებმა. როგორც ჩანს, სტუდენტები მაინც ანონიმურ გზავნილებს ამჯობინებენ, თუმცა, დასამალი არაფერია და სჯობს ღიად, გახსნილად ვისაუბროთ ცუდზეც და კარგზეც. ასეთია რექტორის, ავთანდილ ღელაღუტაშვილის პოზიცია და ჩვენი სურვილიც, რომ ახალგაზრდები უნივერსიტეტის კედლებშივე აღიზარდნენ სამართლიან, პრინციპულ, ქვეყნისა თუ უნივერსიტეტის წინაშე არსებული გამოწვევების გულშემატკივარ მოქალაქეებად, რადგან მიგვაჩნია, რომ მხოლოდ გულშემატკივარი და არა ჩასაფრებულ პოზიციაზე მყოფი ადამიანები შეძლებენ თვალი გაუსწორონ სიმართლეს და სხვასაც დაანახონ ის პრობლემები თუ წარმატებები, რაც მათ გარშემო ხდება.

გთავაზობთ რამდენიმე გზავნილს და მოგმართავთ თხოვნით, რომ იყოთ უფრო აქტიურნი, უფრო მეტი მოსაზრება გვჭირდება იმისათვის, რათა დავეხმაროთ მმართველ გუნდს პრობლემების გააზრებასა და სწორი სამოქმედო ორიენტირების გამოკვეთაში. მადლობა ყველას, ვინც გამოგვეხმაურა, ვეცდებით ყველა თქვენგანის აზრი გავითვალისწინოთ. რექტორი მზადაა შეხვდეს იმ სტუდენტებს, რომლებმაც მხოლოდ შეხვედრის სურვილით მოგვმართეს, რათა რექტორს პირადად გააცნონ საკუთარი პოზიცია თუ იდეა.

ბატონო რექტორო,

გირჩევთ იყოთ სამართლიანი, გიყვარდეთ ის საქმე, რასაც ემსახურებით, აკეთეთ ის, რაც თქვენ მიგაჩნიათ რომ არის სწორი. გისურვებთ წარმატებებს. ღმერთი გფარავდეთ!

დიდი პატივისცემით,
ლალი გულიაშვილი,
უნივერსიტეტის დრამწრის ხელმძღვანელი

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს

მე დავინახე ყუთი, რომელსაც აწერია: „რას ვურჩევ რექტორს“ და სურვილი გამიჩნდა თქვენთვის ჩემი მოსაზრება გამეზიარებინა. არ ვიცი რამდენად გაიზიარებთ, რჩევად მიიღებთ, ანდა საერთოდ თუ წაიკითხავთ, მაგრამ იმედი მაქვს, დაფიქრდებით იმ თემებზე, რომლებზეც მინდა გავამახვილო ყურადღება.

თქვენ ახლად არჩეული ბრძანდებით, თუმცა კარგად იცნობთ უნივერსიტეტის დღევანდელ მდგომარეობას და პრობლემებს. მე შევეცდები ჩემი, ერთი ჩვეულებრივი სტუდენტის თვალით დანახული რეალობა მოგითხროთ და ყურადღება გავამახვილო იმ სიტუაციაზე, რომელიც დღეს უნივერსიტეტში სუფევს. მე დავესწარი თქვენს შეხვედრას სტუდენტებთან, მოვისმინე თქვენი სიტყვით გამოსვლა და მომეწონა თქვენი დამოკიდებულება იმ საკითხების მიმართ, რომლებიც მეც არანაკლებ მაღელვებს.

უნდა მოგახსენოთ, რომ დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც სუფევს უნივერსიტეტში, ჩემი აზრით, არ შეესაბამება სახელმწიფო უნივერსიტეტის სტანდარტებს. პირველი და უმთავრესი პრობლემა, რომელიც ერთი შეხედვითაც თვალშისაცემია, არის უპასუხისმგებლობა, როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან. ეს უპასუხისმგებლობა მჟღავნდება ყველგან და ყველაფერში. მაგალითად, ურთიერთდამოკიდებულებაში - ზერელე დამოკიდებულებაში სტუდენტების ან პროფესორ-მასწავლებლების მიმართ, სწავლის მიმართ რაც, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო საგანგაშოა.

არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ თანამდებობა და ზნეობა ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია და რომ ადამიანი პატიოსნებით ვერაფერს მიაღწევს. მაშინ რაღა აზრი აქვს ცხოვრებას, თუ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება გამართლებულია. თუ იცი, რომ ყველამ, ვინც კი რაღაცას მიაღწია პატიოსნება, ზნეობა, ადამიანობა გვერდზე გადადო და მხოლოდ მაშინ იყენებს, როცა სჭირდება. რა თქმა უნდა, ასე ცხოვრება ფუჭია და გაუმართლებელი. სიმართლე ყველგან და ყოველთვის! თუნდაც მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, რადგან ტყუილით შელამაზებული რეალობა ემსგავსება ლამაზად შეფუთულ ნაგავს და მისგან არანაირი სიკეთე არ არის მოსალოდნელი. ჩემი აზრით, უნდა შეიცვალოს ყველაფერი ის, რაც მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ ცარიელი ადგილი შეავსოს. თუ რაიმე არსებობს. მას თავისი არსებობის გამართლებაც უნდა შეეძლოს, არამარტო სიტყვით, არამედ – საქმით.

მე კიდევ ბევრი შემიძლია ვილაპარაკო, თუ რა არ მომწონს უნივერსიტეტში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არაფერია ჩემი მოსაწონი და მხოლოდ კრიტიკა შემიძლია. რა თქმა უნდა, არა! პირიქით, ძალიან მომწონს ზოგიერთი სტუდენტის და პროფესორ-მასწავლებლის მონდომება და შემართება, თუმცა, ამგვარი დამოკიდებულება არცთუ ისე ხშირია... თუმცა, მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ თქვენ შეძლებთ იმ პრობლემის მოგვარებას, რომელთა შესახებ თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

თავს აღარ შეგაწყენთ, მხოლოდ წარმატებებს გისურვებთ და თავს უფლებას მივცემ წარმოგიდგინოთ ჩემი ერთ-ერთი ლექსი, რომელიც სამართლიანობას ეხება. ეს ის თემაა, რომელიც მაწუხებს ყველგან და ყოველთვის.

პატივისცემით, პირველი კურსის სტუდენტი

მე თქვენ ოპოზიციური მოძრაობიდან გიცნობთ. სწორი გზით გევლოთ, ბატონო ავთანდილ. იცოცხლეთ თავისუფლად, გილოცავთ გიორგობას, გილოცავთ ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა დიდი ტაძრის ხელმძღვანელობას. გლოცავთ გულწრფელად, დაგლოცოთ ღმერთმა!

პატივისცემით,
დ. ზურაბაშვილი

მოგესალმებით, ბატონო ავთანდილ!

პირველ რიგში, გილოცავთ რექტორობას და იმედი მაქვს, რომ განხორციელდება სტუდენტთა ინტერესების შესაბამისი პროექტები. ძალიან მინდა, დიდი ყურადღება დაეთმოს გაცვლით პროგრამებში ჩვენს ჩართვას. დღესდღეობით, ჩვენი უნივერსიტეტიდან ცოტა სტუდენტს ეძლევა შანსი ამ პროგრამით გაემგზავროს ცოდნის ასამაღლებლად. მე ვისურვებდი, გაცვლას უფრო მასშტაბური სახე მიეცეს და მკაცრი კრიტერიუმებით არ მოხდეს სტუდენტთა არჩევა.

გმადლობთ ყურადღებისათვის!

პატივცემულო რექტორო, ბევრი პრობლემის გადაჭრა მოგიწევთ და ჩვენი თხოვნა იქნება, პირველ რიგში, უნივერსიტეტში კაფეს ამუშავებას მიაქციოთ ყურადღება. ამ პრობლემის დაყენებით გამოვხატავთ ყველა სტუდენტის მოსაზრებას და არამარტო სტუდენტების, არამედ - მომსახურე პერსონალისაც.

ბატონო ავთანდილ, უნივერსიტეტში ლექციებზე სიარულს მიანიჭეთ მნიშვნელოვანი ქულა და შუალედურ წერებზე აკრძალეთ გადაწერები. „ყველასთვის“ პიროვნების სახელი და გვარი ნაწერის გასწორების დროს უნდა იყოს დამალული.

სასტიკად აუკრძალეთ ლექტორებს დაწერილი ქულა აღარ გადაუკეთონ ბავშვებს.

ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტში მძიმე სიტუაციაა. მერე ბავშვები უპირისპირდებიან ერთმანეთს იმის გამო, რომ ვინც არ სწავლობენ, მათ უმაღლესი ქულები უწერიათ. ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, გავლენას ახდენს სტიპენდიის მოპოვებაზე და, საერთოდაც, ნერგავს უსამართლობის განცდას.

ჰუმანიტარული ფაკულტეტი,
მეოთხე კურსი

ბატონო ავთანდილ, ბევრჯერ ვდგებით მძიმე სიტუაციაში იმის გამო, რომ სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნებით ხან ბილეთების შეძენას გვთხოვენ, ხან კი - თანხის შეგროვებას გაჭირვებული თუ ავადმყოფი თანამშრომლების თუ ყოფილი თანამშრომლებისთვის. რომ გვქონდეს ამის შესაძლებლობა, უკან არ დავიხევდით, მაგრამ ბევრ ჩვენგანს არანაკლები პრობლემები გვაქვს. ამიტომ, იქნებ გამოსავალი იყოს ის, რომ შევქმნათ საქველმოქმედო ფონდი ან რაიმე ამდაგვარი, სადაც ყოველთვიურად, ჩვენივე სურვილით, ხელფასიდან ჩავრიცხავთ თითო ლარს (ვისაც მეტი შეუძლია, მეტს ჩარიცხავს). ამით გარკვეული თანხა დაგროვდება და უნივერსიტეტს (ან ფონდის ხელმძღვანელობას) მიეცემა საშუალება მცირედით მაინც დაეხმაროს უკიდურესად გაჭირვებულებს.

ბოლო დროს უნივერსიტეტში რეორგანიზაციის პროცესი დიდ ვნებათაღელვას იწვევს და ეს ბუნებრივია - ამ მძიმე სოციალური ყოფის ფონზე არავის სურს დაკარგოს სამსახური. არადა, ჩემი აზრით, რეორგანიზაცია სჭირდება სტრუქტურულ ერთეულებს, ისევე როგორც გადახედვა - საკადრო პოლიტიკას. იმდენი ადამიანი შეემატა ბოლო წლების მანძილზე უნივერსიტეტს, რომ ამის საჭიროება ნამდვილად არ იყო. და თუ საჭირო იყო, გადაადგილება უნდა მომხდარიყო ადგილობრივი რესურსის ხარჯზე და არა გარედან შემოსული კადრების გაზრდის ხარჯზე, რადგან, ახლადმოყვანილი ადამიანები ნამდვილად არ აღმოჩდნენ ისეთი პროფესიონალები, რასაც უნივერსიტეტი არსებული რესურსით ვერ უზრუნველყოფდა.

ძნელია გადაწყვეტილებების მიღება, ძნელია კადრების შემცირება, თუმცა, არსებული მდგომარეობა ამის აუცილებლობის წინაშე გაყენებთ. ბატონო რექტორო, კომისიის წევრებო, მხოლოდ ერთი გამოსავალია შექმნილი სიტუაციიდან - იყოთ ობიექტურები, სამართლიანები და ყველაფერს საერთო კრიტერიუმებით მიუდგეთ და არა ნაცნობ-მეგობრობით. თუ ადამიანები დაინახავენ, რომ ერთ პირობებში უწევთ ჩაყენება და საერთოა მიდგომა, შედარებით გაუადვილდებათ სიტუაციასთან შეგუება.

თანამშრომელი

კულტურა

„შეთქმულება, რომელიც გასცდა“

ნინო გოგიაშვილი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და შესანიშნავი ლექსების ავტორია. მის შესახებ არაერთხელ დაიბეჭდა სხვადასხვა ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ გამოცემებში, რამდენჯერმე მოეწყო მისი შემოქმედებითი საღამო. თუმცა, ჩვენს სათქმელს ეს წერილიც იტყვის, რომელიც „ჩვენი მწერლობის“ 25-ე ნომერში გამოქვეყნდა. ამასთან, გთავაზობთ ნუციკო დეკანოზიშვილის რამდენიმე ლექსს.

მეცნიერულ წრეებში **ნინო გოგიაშვილის** სახელით იცნობენ, პოეზიის მოყვარულები – **ნუციკო დეკანოზიშვილისა**. ლექსების კრებული **„ნამსხვრევებიც“** სწორედ ამ ფსევდონიმით გამოქვეყნდა.

წარდგინება ერთხელ უკვე იყო ლიტერატურულ კაფე „დივანში“, საპატრიარქოს ტელევიზიის დილის გადაცემაშიც „განთიადი“ მიმოიხილა როსტომ ჩხეიძემ, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურილ სალონში კი ამ კრებულის განხილვა გაიმართა.

– ყოველთვის ვაქცევ ყურადღებას პოეტურ კრებულსაც და პროზაულსაც, რამდენად არის ის მთლიანი – თუნდაც მოზაიკურ პრინციპზე გახლდეთ აგებული, უნდა იყოს კარგად გააზრებული, და არა მექანიკური ჯამი კარგი თხზულებებისა.

ნუციკო დეკანოზიშვილისთვის ნიშანდობლივია ასეთი მთლიანობისკენ სწრაფვა, და არა მხოლოდ წიგნის შედგენისას, არამედ ცალკეული პუბლიკაციების წაკითხვის დროსაც ყოველთვის იგრძნობა ციკლის ერთიანობა, ერთმანეთთან შეხმიანება განწყობილებით, და ამავე დროს, მრავალფეროვნებაც.

ერთი ნაკლიც არსებობს დღევანდელ ქართულულ პოეზიაში – განსაკუთრებით, მის ახალ ნაკადში – ერთფეროვნება და მონოტონურობა. ცალკ-ცალკე შესაძლოა მოგეწონოს ლექსები – თითქოს კარგია, გამართულია, წაიკითხავ – ყველაფერი რიგზეა, ერთად თავმოყრილი კი შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს, რადგან გგონია, რომ დაუსრულებელი ვარიაციებია ერთი განწყობილებისა.

განსაკუთრებით მომაბაზრებელია კოშმარული განცდები, მუდმივი წუხილი, დარდი, ტირილი და მოთქმა, თითქოს ადამიანი რაღაც ჩაკეტილ სივრცეშია მომწყვდეული... და, რაც მთავარია, ამ ყველაფერზე ერთი კუთხით და ერთნაირად იწერება.

ნუციკო დეკანოზიშვილი კი ახერხებს, რომ თავისებურად თქვას საკუთარი სათქმელი.

სათაური იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ მხოლოდ ყოფით ნამსხვრევებზე კი არ არის საუბარი, არამედ სულიერ რღვევაზე, დაშლაზე... და კრებულის მთელი არსიც ისაა, თუ როგორ უნდა მოხერხდეს ამ დაშლილი ნამსხვრევების გამთლიანება, თანაც ისე ბუნებრივად, რომ ხელახლა არ ჩამოიფშვნას.

ნუციკო დეკანოზიშვილს თავისი სახისმეტყველება აქვს, ორიგინალური, რაღაცით თავის თანამედროვეებსაც რომ ეხმიანება და ამასთანავე სრულიად განსხვავებულიც არის.

ჩვენთვის სწორედ ეს განსხვავებაა საგულისხმო და ისიც, რომ ავტორი არ არის ამოწურული, პირიქით, რაღაც ახალი სივრცე იშლება მის წინაშე და გარკვეულ პერსპექტივასაც ასახავს მკითხველისათვის,-ასე წარუდგინა **როსტომ ჩხეიძემ** ნუციკო დეკანოზიშვილი შეკრებილებს და სიტყვა გადასცა მომხსენებელს, **სალომე კაპანაძეს**:

– ნუციკო დეკანოზიშვილი პირველად ოთარ ჩხეიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე გავიცანი. მისი შესანიშნავი მოხსენების ფონზე უცნაური ის იყო, ვიდრე მეტყოდნენ ასეთი შესანიშნავი პოეტიაო, მე მასში ლექსი ვიგრძენი. მართლაც იშვიათად შემხვედრია ასეთი პოეტური გარეგნობის პოეტი. და როდესაც ისეთი გემოვნებიანი ქალბატონი, როგორიც დოდონა კიზირიაა, ნუციკო დეკანოზიშვილზე გენიალურად მარტივად იტყვის, ჩემო კარგო, შენ ნამდვილად პოეტი ხარო, დანარჩენი, რის თქმასაც დავაპირებ, ამის დადასტურება იქნება მხოლოდ. ნუციკო დეკანოზიშვილის პოეზიას ყოველთვის აქვს საერთო ჩვენს შინაგან განწყობასთან. ის არასოდეს კარგავს დროს გაცვეთილი ფრაზებისთვის და ამიტომაც უსაშველოდ ვივსებით ხოლმე მისი „მზისთვალება ბალახებით“, „დარბეული სიზმრებით“, „ტყვიისფერი თოვლით“, „პირამდე სველი მედუზების სველი შეხებით“. თელავმაც ნუციკოს სამყაროში აირეკლა თავი, რადგან „ალუბლისფერი კარების მიღმა ნუციკო ცხოვრობს“. ამ სამყაროში შესვლისას სიამოვნებით კრეფ ნუციკოს „ნამსხვრევებს“, რომლებიც საბოლოოდ, სიცოცხლის სახელით, ჩვენს დაღლილ სულებში ისადგურებენ. ქალად ყოფნის „დანაშაული“ აძლევს ნუციკო დეკანოზიშვილის პოეზიას ელეგანტურობას, რომელიც განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს მისი ლექსის სიურრეალისტურ ფორმებს. უფალთან მიახლების, უფლის ძიების ეგზისტენციალური სევდა ბავშვობის შორეული მოგონებებიდან ადევნებია მის ფიქრებს. ღმერთი ხან დედის, ხან ჩვილის, ხან კაცის სახით ევლინება. უღმერთობისგან „მხნე და გაძრცვილი“ ადამიანების სევდა ახლავს მის სტრიქონებს. უნაყოფოა ის დილა, რომელიც მასთან უსიყვარულოდ თენდება და ყოველ სტრიქონს თანმდევი სათაურივით გასდევს – მიყვარხარ, გეძებ, გპატიობ.

„როგორია ნუციკო დეკანოზიშვილის პოეტური მე? მისი პორტრეტია ყოველი ლექსი“ – წერს მაია ჯალიაშვილი. მკითხველს ყოველთვის აქვს ფარული სურვილი – პოეტი ჰგავდეს თავის ლექსს, რომ პოეტის რეალური „მე“ სახლობდეს მის სტრიქონებში და როცა იგი აღმოაჩენს, რომ ეს ასე არ არის, მკითხველიც იღუპება. ნუციკო დეკანოზიშვილის ყოველი სტრიქონიდან კი მისი პიროვნება იმზირება. მისი პოეზიის შუქ-ჩრდილებში არასდროს შეხვდებით მყვირალა ფრაზებს სამშობლოზე, თავგანწირვაზე, თანაგრძნობაზე. რამდენჯერაც არ უნდა შებრუნდე ნუციკოს პოეზიის სამყაროში, არასოდეს დაგრჩება განცდა, რომ ბოლომდე ამოწურე მისი შესაძლებლობანი. პოეზიის ეს ჯადო წიგნი, რომელსაც მან „ნამსხვრევები“ უწოდა და რომელსაც ძალუძს ესთეტიკური განწვალების პროცესში ჩაგრთოს, მუდმივად გენატრება და გესაკლისება. ეს არის სწორედ ნამდვილი პოეზიის მახასიათებელი – ის ერთჯერადად არასოდეს შემოდის ჩვენს სულებში.

ეკა ბუჯიაშვილი

...რომ გვერდით გედგე

ასე მინდოდა დამეწყო და ხარაჩოებს ვდგამდი ფანჯრებთან,
ხელუხლებელი მეტაფორით ვრთავდი ფრაზებს – სისხლში გაყინულს.
ასე მინდოდა დამეწყო და, რომ ეს იყო ჩემი სასჯელი,
უკვე ვიცოდი, ვიფერებდი, რომ აქ იყო ჩემი სალხინოც.
ვეზიდებოდი სიტყვებს სახლიდან.

დიდი კაცები ბადეს შლიდნენ. იყო დილა. იყო სისხლივით
წითელი სისხლი, დაკოპლილი, კალმახების ზურგზე აკრული.
სასკოლო მერხი – დაჩხაპნილი, და სამშობლო, გვერდით, “იხილეთ”,
ვაშას კივილზე გამობმული (კოსმოსამდე) მკრთალი “ჩაკრულო”.
და ბრჭყვიალებდა ტატოს “საყურე”.

„ელია, ბიჭო“! – გეკითხები: რას ელიან აქ სულელები?
ქველმოქმედები, მასხარები, სწავლულები და ასე შემდეგ,
და ასე შემდეგ, ასე, შემდეგ, – დაკრეფილი გულზე ხელები,
რომ მახელებენ და რომ მინდა, ყველა ლაჩარს სიტყვებით შევდგე!
რომ აქ ვიყო და, რომ გვერდით გედგე.

რომ უკვე ყინავს გვარიანად, მინდა გითხრა, – ზამთარი მოვა,
მოვა და მერე შეგცივდება, მე გავიხდი, ჩაგაცვამ ტანზე.
შენი ბებერი გული ფეთქავს, ისე, როგორც ზამთარში თოვა,
და სულ არაფერს, – არც ერთ პასუხს, – აღარა აქვს ამჯერად აზრი,
როცა ვზივარ და არ ვფიქრობ სხვაზე.

უსაზღვრო სევდა დიდდება და გადანგრეულ საზღვრებს გადადის,
თვალი თვალში რომ გაგიყარო, წავხდები და დავკარგავ ედემს.
როგორ მინდოდა დამეწყო და ვრჩები ამბავს, ასე, – ვადამდე,
ვეღარც ვწერ, ვეღარც გეშველები, ვეღარც ვყვირი და ვეღარც ვკვდები.
ვდგავარ, აქ ვარ და გაბზარული შევყურებ კედლებს.

სიზმარი საშოგლოზე

ნეტავ, შენ რას გარგებს
ჩემი ხმადაბალი ლექსები, ან
გულში ჩაკირული
სევდის ნალექები – კრისტალებად.
პრიალა შვილები
ისე თავხედურად შეგხებიან,
მე – თავჩაქინდრული –
ფრაზების უკანლა ვიმალები.

ნეტავ, მაცოდინა, –
შენს გულს რა წამალი ეამება,
ან თუ აჩხრიალდა
შენი ოქრო,
ახლა უნდა ვნახო.
ჩემი სიტყვა უნდა
დაგადევნო,
დედი,
ნება-ნება,
შენს მთებს ჩემი ხელი
ისე ფრთხილად,
რბილად უნდა ვახლო,

რომ სულ დაიბზაროს
ყველა ჩრდილოეთის ყინული და
ჩამოჭრილი ხორცი
ისევ გაგრძნობინო,
ვნატრობ, დედი...
ასე ვიწყებ სიზმრებს,
ყოველ ღამე, ასე – მინორიდან,
ირიჟრაჟებს,
თვალს გაგისწორებ, და
აქვე ვკვდები.

შემოქმედებითი წრეები

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ტრადიციულად, დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტთა კულტურულ-შემოქმედებით აღზრდას და განვითარებას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოცოცხლდა მუშაობა კულტურის და სპორტის განყოფილების შექმნის შემდეგ. მიმდინარე სასწავლო წელს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ფუნქციონირებს: ქართული ხალხური სიმღერის (ლოტბარები: არჩილ ტეტიაშვილი, გურამ გურგენაშვილი), ქართული ხალხური ცეკვის (ქორეოგრაფები: ლელა ხუციშვილი, რომა ბიბილეიშვილი), თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების (ქორეოგრაფი გიორგი სეხნიაიძე), ხელგარჯილობის (ჯულიეტა აბრამიშვილი) და თექის დიზაინის წრეები (ნუგზარ ძამუკაშვილი), აგრეთვე სტუდენტური თეატრი (ხელმძღვანელები: ლალი გულიაშვილი, ნონა ხუმარაშვილი).

აღნიშნული წრეების მუშაობაში აქტიურად არიან სტუდენტები ჩართულები. ისინი დიდი მონდომებით გადიან რეპეტიციებს და ემზადებიან როგორც შიდა საუნივერსიტეტო ღონისძიებებისათვის, აგრეთვე საახალწლო კარნავალისათვის. წინ არის გაზაფხულზე დაგეგმილი სტუდენტური დღეები, რომელში მონაწილეობისათვის ახალგაზრდები სასწავლო წლის დასაწყისიდანვე ემზადებიან.

ლაშა ნახუცრიშვილის ნამუშევრების გამოფენა



უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფოიეში მოეწყო სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი მრეწველობის ფაკულტეტის სასურსათო ტექნოლოგიების სპეციალობის I კურსის სტუდენტის ლაშა ნახუცრიშვილის ორიგამის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრების გამოფენა.

ლაშამ დაამთავრა თელავის მეორე სკოლა. იგი შემოქმედი ნატურაა. აქტიურად მონაწილეობს სტუდენტურ ცხოვრებაში. ორიგამის გარდა, დაკავებულია ხატვით და არის სტუდენტური თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი, აგრეთვე უნივერსიტეტის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის აქტიური წევრი.

მან, ინტერნეტის მეშვეობით, ერთი წლის წინ შეისწავლა ორიგამის ტექნიკა და უკვე 18 ნამუშევრის ავტორია. ზოგი ნამუშევრის დასამზადებლად სჭირდება 1 კვირა, ზოგისთვის კი 1 თვე. შემოქმედებითი პროცესი დიდ სიამოვნებას ანიჭებს და ძალიან კმაყოფილია, რომ თელავის უნივერსიტეტში ყოველგვარი პირობაა შექმნილი სტუდენტთა ინტერესების დაკმაყოფილების და შემოქმედებითი განვითარებისათვის.

გამოფენამ დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

ელენე ღარიბაშვილი

„ცენტრი გახდება ყველაზე საყვარელი და საინტერესო ადგილი მომავალი ჟურნალისტებისთვის“

ჟურნალისტიკის სპეციალობა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006 წელს დაფუძნდა. მისი დაარსების ინიციატორი და პირველი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი გახლდათ ასოცირებული პროფესორი ნელი ცქიტიშვილი. „დაარსების დღიდან მცდელობას არ ვაკლებდი, რომ უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის სასწავლო ცენტრი გახსნილიყო, რადგან შეუძლებელია პრაქტიკის გარეშე გახდე ჟურნალისტი. ამ მცდელობამ შედეგი გამოიღო და მიმდინარე წლიდან სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე დაიწყო ცენტრმა ფუნქციონირება. შორს ვარ იმ აზრიდან, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, მაგრამ, ვფიქრობ, მთავარი მაინც დაწყებაა. თანდათანობით ჟურნალისტიკის

ცენტრი გახდება ყველაზე საყვარელი და საინტერესო ადგილი მომავალი ჟურნალისტებისთვის“, – აღნიშნავს ნელი ცქიტიშვილი.

გახსნისთანავე ჟურნალისტიკის სასწავლო ცენტრში ამოქმედდა პროექტი „მასკომუნიკაციის თანამედროვე სისტემების სწავლება“, ამასთან, არაერთი საინტერესო შეხვედრა და დისკუსია გაიმართა.

წლის დასაწყისში, ცენტრის ფარგლებში, ჟურნალისტიკის სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებს ეკითხებოდათ სასწავლო კურსი „ფოტოჟურნალისტიკა“. მომავალი ჟურნალისტები სწავლობდნენ ფოტოჟურნალისტიკის მთავარ პრინციპებს, საკითხების გაშუქებას, თემატური ბითის დამუშავებას და სხვა. თეორიულ გაკვეთილებთან ერთად იღებდნენ პრაქტიკულ გამოცდილებას ფოტოაპარატის გადაღების ტიპების და რეჟიმების შესახებ, ავითარებდნენ სწორი კომპოზიციის და ექსპოზიციის შერჩევის უნარ-ჩვევებს. „ ფოტოჟურნალისტიკის კურსის გავლამ ჩემი ცოდნა ამ სფეროში გაზარდა და გაამყარა. კურსის გავლის პერიოდში განსაკუთრებით მომწონდა პრაქტიკული სამუშაოების კეთება, რაც ჩემს პლიუსებსა და მინუსებს მანახებდა და მისი გამოსწორების შესახებ ადგილზე ლექტორი მასწავლიდა. ჟურნალისტი ვარ და არაჩვეულებრივად ვიყენებ ამ ცოდნას. ჩემი გადაღებული ფოტოები ადრინდელზე გაცილებით უკეთესი გამოდის, რაც ამ კურსის გავლის შედეგია“ – აკაკი ჯიყაშვილი, თელავის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული.

სექტემბრიდან ცენტრში სტუდენტებს ეკითხებათ ციფრული სამონტაჟო პროგრამის “Photoshop CS6“ ლექციები. კურსი აგებულია პრაქტიკულ სამუშაო პროცესზე, რომლის ათვისებაც დამწყებ ჟურნალისტებს არ გაჭირვებიათ. „ კურსი მნიშვნელოვანია ჩემთვის და ჩემი სპეციალობის სტუდენტებისათვის, რომლებიც მხარს უბავენ თანამედროვე ონლაინ მედიის განვითარებას. ხოლო ფოტოშოპის გამოყენების ცოდნა, მეხმარება სრულფასოვანი გრაფიკული სტატიებისა და სიახლეების მომზადებაში. დიდი სურვილი მაქვს, ვისწავლო კიდევ უფრო მეტი და არა მხოლოდ ფოტოშოპში, არამედ სხვა სამონტაჟო პროგრამებშიც.“ – თარაშ გიორგაძე, ჟურნალისტიკის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტი.

ჟურნალისტიკის სასწავლო ცენტრი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მეხუთე სართულზეა და მთელი დღის განმავლობაში სამუშაო რეჟიმშია. ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერებით, იმეცადინონ ციფრულ სამონტაჟო პროგრამაში, დაგეგმონ და ჩაატარონ შეხვედრები პროფესიული კუთხით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით ნოემბერ-დეკემბრის თვეებში ცენტრში რამდენიმე ღონისძიება ჩატარდა. სტუდენტების დიდი დაინტერესება გამოიწვია პროექტმა „ინტერნეტის ახალი სივრცეები“, რომელიც შემეცნებითი ტრეინინგის ფორმით იყო წარმოდგენილი. სტუდენტები გაეცნენ უახლეს ინფორმაციას თანამედროვე მსოფლიოს ახალი გამოწვევის – „ინტერნეტ-დამოკიდებულების“ შესახებ. კვლევები ცხადყოფს, რომ თანდათან იზრდება ვირტუალურ სამყაროზე დამოკიდებულ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც თავბრუსხვევას განიცდიან ულამაზეს ციფრულ სამყაროში და რეალობის შეგრძნებას კარგავენ. კვლევა ამ თემის ირგვლივ პროექტში ჩართულმა სტუდენტებმა უნივერსიტეტშიც განახორციელეს. კითხვაზე „ზოგადად, რამდენად ხშირად ხართ ინტერნეტსივრცეში იმაზე მეტი ხნით ვიდრე გჭირდებათ?“ გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობამ (53%) დააფიქსირა პასუხი – ძალიან ხშირად. 18% თვლის, რომ ძალიან იშვიათად რჩება ინტერნეტსივრცეში საჭიროზე მეტ ხანს, ხოლო საშუალო პოზიციას იკავებს გამოკითხულთა 29%.

„– 44% ძალიან იშვიათად ამჯობინებს ონლაინ ყოფნას გარეთ გასვლას, 33% კი ონლაინ დარჩენა ურჩევია. საშუალო მაჩვენებელი დააფიქსირა გამოკითხულთა 20%- მა. 3%-ს კი პასუხის გაცემა გაუჭირდა. აქედან შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ჩვენი სტუდენტები ინტერნეტ -დამოკიდებულები არ არიან. ამ მოსაზრების კიდევ უფრო გასამყარებლად დავამატებ, რომ რესპოდენტთა 79%-ს ღამე არ გაუთენებია ინტერნეტის მოხმარების მიზეზით“ – აღნიშნავს უნივერსიტეტის სოციოლოგიური კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი, სოციოლოგი სალომე თათულიშვილი.

ტრეინინგებზე სტუდენტები გაეცნენ ინტერნეტის ახალ საშუალებებს, ვებ-გვერდებს, რომელთა გამოყენებაც შეიძლება სასწავლო პროცესში. გვერდებს, რომლებიც მოახდენენ მათზე პოზიტიურ გავლენას და ინტერნეტში დახარჯულ დროს პროდუქტიულად აინაზღაურებენ რეალურ ცხოვრებაში. „სოციალური ქსელების გარდა, არსებობს ბევრი საიტი: wikipedia, stumbleupon, www.networkedblogs.com და სხვები. სტუდენტებს შეუძლიათ მოიძიონ ინფორმაცია მათი ინტერესების მიხედვით, რაზე სწავლობენ, რა ჭირდებათ განათლებისათვის და ეს ყველაფერი, შეუძლიათ შემდეგ მეილზეც გამოიწერონ. ეს პროექტი ახალგაზრდებს საშუალებას გვაძლევს გავიფართოოთ თვალსაწიერი და გავეცნოთ სიახლეებს მთელი მსოფლიოდან.“ – მარიამ მესტვირიშვილი, სტუდენტი.

პროექტით გათვალისწინებულია მომავალი სასწავლო სემესტრიდან სტუდენტების მიერ ტრეინინგების ჩატარება სკოლის დამამთავრებელ კლასებში. „დაინტერესებულ სკოლის მოსწავლეებს შევთავაზებთ ჩაერთონ კონკურსში, რომელსაც საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური განახორციელებს ამავე პროექტის ფარგლებში. კონკურსი შეეხება ბლოგის წერას, ბლოგის თემა თავისუფალი იქნება. მონაწილეები სწორედ იმ საიტების დახმარებით დაწერენ ბლოგს, რომელთა გარშემოც მათ წაეკითხებათ ერთსაათიანი გაკვეთილი“ – გიორგი ბეჟანიშვილი, პროექტის ხელმძღვანელი.

ჟურნალისტიკის სასწავლო ცენტრმა დეკემბერში უმასპინძლა სტუდენტურ დისკუსიას „თელავის უნივერსიტეტი – სტუდენტური ხედვა“. დისკუსიაზე განხილული იყო ის თემები, რაც სტუდენტების აზრით უნივერსიტეტის განვითარებისათვის პრიორიტეტულია. საუბარი შეეხებოდა სასწავლო პროცესს და სტუდენტების მხრიდან ხშირ გაცდენებს. ნინო ბაბუნიძე: „ჩემი აზრით, დასწრების პრობლემაა და კარგი იქნება თუ დასწრებას 10 ქულით შევაფასებთ. სხვა უნივერსიტეტებში დასწრებას თავისი კუთვნილი ქულა აქვს. ლექციებზე დასწრება უნდა იყოს სავალდებულო.“ მსჯელობის საგანი გახდა უნივერსიტეტის თვითმმართველობის მუშაობაც. საუბარი შეეხებოდა ფინანსებს, რომლებიც სტუდენტური ცხოვრების გააქტიურების მიზნით იხარჯება. პრობლემატურ საკითხებში მოხვდა ასევე: უნივერსიტეტში ბუფეტის არარსებობა; გათბობა, რომელიც სტუდენტთა აზრით არათანაბრად და არასაკმარისად ნაწილდება; სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ უფრო ხშირად უნდა ხვდებოდნენ ფაკულტეტის დეკანები სტუდენტებს. ხშირად უნდა იმართებოდეს საინფორმაციო შეხვედრები და პრაქტიკული მუშაობები. „ჟურნალისტიკა – თეორია კარგად ტარდება, მაგრამ საჭიროა პრაქტიკები. აუცილებელია გამოინახოს ხარჯები და ეს ცენტრი სრულყოფილად აღიჭურვოს ტექნიკური საშუალებებით. დიდი სურვილი გვაქვს მივიღოთ პრაქტიკული გამოცდილება.“ – ელენა გოგინაშვილი, ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტი.

დისკუსიაზე საუბარი შეეხო უნივერსიტეტის იმიჯსაც. „უნივერსიტეტს იმიჯი უნდა ჰქონდეს. უნდა მოწესრიგდეს გარემო. ყველას არ უნდა მიეცეს უფლება უნივერსიტეტში შემოსვლის. დაცვას ფორმა უნდა ეცვას. კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი შეიძენს საკუთარ სამარშრუტო ტაქსს. ყოველ ჯერზე ქირაობა წამგებიანია ბიუჯეტისათვის, ერთხელ თუ შევიძენთ, ასე უფრო დაიზოგება თანხა.“ – ნოდარ ეჟიშვილი, სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტი.

ჟურნალისტიკის ცენტრი გათვლილია 20-25 სტუმარზე და შესაძლებელია სემინარებისა თუ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება. ბოლო პერიოდში, ცენტრში, სტუდენტები „ფერთა ფსიქოლოგიას“ ეცნობოდნენ. სემინარზე განხილული იყო სამყაროში არსებული ფერების კლასიფიკაცია, თვისებები და ტიპები. ასევე, ფერთა გამოყენების ტენდენციები თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესებსა და მარკეტინგში. „აღნიშნული სემინარი მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის, ფერების ელემენტარული ცოდნა აუცილებელია და მიღებული ცოდნა შეგვიძლია გამოვიყენოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში. იმედს ვიტოვებ, მსგავსი სემინარები ინტენსიურად გაიმართება და სტუდენტების აქტივობაც გაიზრდება“ – ნინო პეტრიაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი.

24 დეკემბერს ცენტრში ჩატარდა შემეცნებითი სემინარი „ფოტოგრაფია ყველასთვის“. სემინარს უძღვებოდა გიორგი ბეჟანიშვილი და განხილული იყო ფოტოგრაფიის ისტორია, ფოტოს გადაღების რეჟიმები და ფოტოგრაფიის მთავარი კანონები.

გიორგი ბეჟანიშვილი: „გასული ორი თვის მანძილზე ჩატარებულ სხვადასხვა შემეცნებით სემინარებზე სტუდენტების მხრიდან ყოველთვის იყო მოთხოვნა, რომ ფოტოგრაფიაზეც გვქონოდა საუბარი, სწორედ ამიტომ ჩავატარეთ აღნიშნული სემინარი, რომელზეც მაქსიმალურად მარტივად იყო ახსნილი ფოტოგრაფიის მთავარი პრინციპები და კანონზომიერებები. სტუდენტთა ჩართულობით ძალიან კმაყოფილი ვარ და მსგავსი ტიპის ღონისძიებებს ჟურნალისტიკის სასწავლო ცენტრი მომავალშიც გეგმავს“.

ჟურნალისტიკის ცენტრის თვის ბოლო სტუმრები იყვნენ „ინტერნიუსი საქართველოს“ წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანი იყო პროექტის „ახალგაზრდა გზაჯვარედინი“ პრეზენტაცია, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის და ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება. იგი მიზნად ისახავს ერთობლივი მედია ინიციატივების განხორციელების საშუალებით ქართველ, ოს და აფხაზ ახალგაზრდებს შორის კომუნიკაციის გაძლიერებას. შეხვედრა ძირითადად განკუთვნილი იყო ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის. პროექტის ფარგლებში მათ საშუალება ეძლევათ გადაიღონ მოკლემეტრაჟიანი ფილმები, ჩანახატები ან დაწერონ ესეები მათთვის საინტერესო ნებისმიერ თემაზე. როგორც პროექტის მენეჯერმა ნანა გამყრელიძემ აღნიშნა, შეხვედრის მიზანი მომავალი თანამშრომლობაა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, მათი ჩართვა ერთობლივ აქტივობებში. „ჩვენ გავდივართ რეგიონებში, ვხვდებით სტუდენტებს და სხვა ახალგაზრდულ გაერთიანებებს, რათა მოვახდინოთ ახალგაზრდა ჟურნალისტების მობილიზაცია.“

„ცენტრი თანდათან იკრებს ძალებს, ადმინისტრაცია ცდილობს საჭირო ტექნიკით მოგვამარაგოს, რაც წინაპირობაა მისი სრულყოფილი ფუნქციონირებისა. ვგეგმავთ ახალ-ახალი პროექტების შემოტანას, რაც საშუალებას მოგვცემს მომავალ ჟურნალისტებს დავეხმაროთ, რათა მათ სწავლის პროცესშივე შეიძინონ პროფესიული უნარ-ჩვევები. ამ მიზანს ემსახურება საუნივერსიტეტო გაზეთის მომზადება ცენტრის ბაზაზე. ერთი რამ აუცილებლად აღსანიშნავია, – სტუდენტები მეტად უნდა გააქტიურდნენ და ინტენსიურად ითანამშრომლონ ცენტრთან.“- ამბობს ნელი ცქიტიშვილი.

მარი არჯევანიძე

სპორტი

თესაუს გუნდი მეორე ადგილზეა

24 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სტუდენტური ლიგის დასკვნითი მატჩები ფრენბურთში. სტუდენტური ლიგის მთავარ, ფინალურ თამაშში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟ ფრენბურთელთა გუნდებმა. უნდა აღინიშნოს, რომ სტუ-ს გუნდი ქვეყნის ნაკრები გუნდის საბაზისო კოლექტივს წარმოადგენს და ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონია.

პირველ ორ სეტში ჩემპიონებმა გაიმარჯვეს დაძაბულ ბრძოლაში, 25:20 და 25:23. თელავის უნივერსიტეტის ნაკრები გუნდი ძალიან ახლოს იყო მესამე სეტში გამარჯვებასთან, სადაც ბრძოლა მიმდინარეობდა თითო ქულაში და ყველაფერი ტაიმ-ბრეიქზე გადაწყდა, სტუ-ს გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 40:38 და დამსახურებულად მოიპოვა სტუდენტური ლიგის ჩემპიონის ტიტული.

დიდ წარმატებას მიაღწია თელავის უნივერსიტეტის გუნდმა, რომელმაც ასევე დამსახურებულად მოიპოვა II საპრიზო ადგილი.

შემდეგ გაიმართა სტუდენტური ლიგის დახურვის ცერემონიალი, მონაწილეებს მიმართეს და გამარჯვება მიულოცეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, სტუდენტური სპორტის ფედერაციის, თელავის და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და კულტურის განყოფილებების ხელმძღვანელებმა.

თელავის უნივერსიტეტის სპორტისა და კულტრის განყოფილების უფროსმა ნოდარ ლატიბაშვილმა გამარჯვებულებს მიულოცა და აღნიშნა, რომ ფრენბურთი, სპორტის ეს ერთ-ერთი ულამაზესი სახეობა, ძალზე პოპულარულია თელავის უნივერსიტეტში. მას დიდი ტრადიციები გააჩნია და უფრო დიდ ყურადღებას და ფინანსურ დახმარებას იმსახურებს.

ასევე, აღინიშნა, რომ თელავის უნივერსიტეტის გუნდები რეგულარულად და წარმატებით მონაწილეობენ რესპუბლიკურ სტუდენტურ ღონისძიებებში, მისი ნაკრები გუნდები გამოირჩევიან კარგი სპორტული მომზადებით.

სტუდენტური სპორტის ფედერაციის წარმომადგენელმა ლევან დოლიძემ მადლობა გადაუხადა თელავის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას სპორტის პრობლემებზე ზრუნვისა და სპორტსმენების მუდმივი მხარდაჭერისათვის. მან აღნიშნა, რომ თელავის გუნდის მწვრთნელი დავით ბეკერი ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული მწვრთნელია სტუდენტურ ფრენბურთში.

თელავის უნივერსიტეტის ფრენბურთელთა ნაკრებ გუნდს გადაეცა სამახსოვრო თასი, ხოლო ფრენბურთელებს – საპატიო სიგელები.

ფუტზალი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ინიციატივით ტარდება ფუტზალში სტუდენტური ლიგის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას იღებს ქვეყნის ოცდაათი უმაღლესი სასწავლებლის გუნდი.

კენჭისყრის შედეგად, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუტზალის გუნდი მოხვდა მეორე შესარჩევ ჯგუფში, რომელშიც მასთან ერთად ასპარეზობენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, ილიას სახელობის უნივერსიტეტის და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ნაკრები გუნდები.

ამ ეტაპზე გუნდებმა უკვე დაასრულეს შესარჩევი ტურნირი. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაკრებმა გუნდმა შესარჩევი ეტაპის ოთხივე მატჩი ჩაატარა, რომლებშიც ორი გამარჯვების მოპოვება შეძლო ანგარიშით 1:0 და დაამარცხა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდი, ხოლო ანგარიშით 5:0 – გრ. რობაქიძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი. გუნდმა დაძაბულ, პრინციპულ ბრძოლაში წააგო ორი მატჩი, მოიპოვა 6 ქულა და შეჯიბრის დასკვნით ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა, რომელიც მომავალ წელს გაიმართება.

გუნდის წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს ფუტზალის ნაკრები გუნდის წევრებმა ირაკლი ჯაშიაშვილმა, ირაკლი შავაძემ, გიორგი ბალარჯიშვილმა, ჯაბა ბლუიშვილმა, ვანო ფილიპაშვილმა, კახაბერ მჭედლიშვილმა, ვალერი ლეფსვერიძემ, თორნიკე ხუტუაშვილმა, ნიკა გულვერდაშვილმა, გიორგი ხურცილავამ, ბექა მამულაშვილმა და სხვებმა.

სტუდენტ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ამჟამად ფინალურ ტურნირზე ასპარეზობისათვის ემზადება, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულზე გაიმართება.

შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტდარბაზში სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი ფეხბურთში. მასში მონაწილეობდნენ სამართალმცოდნეობის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტებით დაკომპლექტებული გუნდი „რვიანი ყვავი“ და საჯარო მმართველობის პირველი კურსის გუნდი „აპოკალიფსი“. თამაში საკმაოდ დაძაბულად წარიმართა და საბოლოოდ ანგარიშით 6:4 გამარჯვებული გახდა იურისტების გუნდი. ფინალში მონაწილეებს თვითმმართველობამ გადასცა ფულადი პრიზები: პირველ ადგილზე გასულებს – 250 ლარი, ხოლო მეორე ადგილზე გასულებს – 200 ლარი.

ზურაბ გრიშაშვილი, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი: „შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი ფეხბურთში 11 დეკემბერს დაიწყო და სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად იყვენენ ჩართული ღონისძიებაში და მასში რამდენიმე გუნდი მონაწილეობდა. ფინალიც ძალიან საინტერესო და დაძაბული იყო. საბოლოოდ გამარჯვება ღირსეულმა მოიპოვა.“

შეჯიბრი კალათბურთში

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა შიდასაუნივერსიტეტო შეჯიბრი კალათბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღო 8 გუნდმა. გამარჯვებული გახდა საჯარო მმართველობის სპეციალობის სტუდენტებით დაკომპლექტებული გუნდი. მეორე ადგილი კი დაიკავეს იურიდიული სპეციალობის სტუდენტებმა. პირველ ადგილზე გასულებს გადაეცათ ფულადი ჯილდო – 250 ლარი, ხოლო მეორე ადგილზე გასულებს – 200 ლარი.

ჩვენი უნივერსიტეტის პარტნიორი ტურისტული კომპანია „Dina Travel”-ი ორივე ფინალისტ გუნდს ასაჩუქრებს ერთდღიანი ტურით გუდაურში.

ნოდარ ლატიბაშვილი

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას 2014-15 სასწავლო წლისათვის შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

- ქართული ენა და ლიტერატურა;
- ინგლისური ენა და ლიტერატურა;
- გერმანული ენა და ლიტერატურა;
- ფრანგული ენა და ლიტერატურა;
- ისტორია.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:

- ბიოლოგია;
- ეკოლოგია;
- გეოგრაფია;
- მათემატიკა;
- ფიზიკა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- დიპლომირებული სტომატოლოგი.

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტი:

- საჯარო მმართველობა;
- ბიზნეს ადმინისტრირება;
- ჟურნალისტიკა;
- ტურიზმი.

აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

- სასურსათო ტექნოლოგია;
- აგრონომია;
- სატყეო საქმე.

განათლების ფაკულტეტი:

- დაწყებითი განათლება;
- სპორტი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. 1; ტელ: 0(350) 27 24 01; ვებ-გვერდი: www.tesau.edu.ge

მემორანდუმი ტურისტულ სააგენტოსთან

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ტურისტულ სააგენტო „Dina Travel“-ს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმს ხელი მოაწერეს უნივერსიტეტის რექტორმა ავთანდილ ღელაღუტაშვილმა და ტურსიტული სააგენტოს დირექტორმა ნატო ქართველიშვილმა. მემორანდუმის მიზანია ისეთი ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც მიმართულია ტურიზმის პოპულარიზაციის, საგანმანათლებლო საქმიანობის, სტუდენტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობისაკენ. მხარეები მომავალში ერთობლივად ჩაატარებენ ღონისძიებებს, პრეზენტაციებს, ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაიარონ სასწავლო პრაქტიკები ტურისტულ სააგენტოში და შესაძლებლობის ფარგლებში დასაქმდნენ, „Dina Travel“-ი პერიოდულად დააფინანსებს სოციალურად დაუცველ და წარმატებულ სტუდენტთა მონაწილეობას „Dina Travel“-ის მიერ დაგეგმილ და განსახორციელებელ ექსკურსიებსა და სხვადასხვა სახის ტურებზე.

ნატო ქართველიშვილი, ტურისტული სააგენტოს დირექტორი: „მოხარული ვარ, რომ დღეს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ჩვენს ტურისტულ სააგენტოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მომავალში უნივერსიტეტთან აქტიურ თანამშრომლობას ვგეგმავთ. ჩვენი მიზანია ერთობლივი პროექტების დაგეგმვა, რეგიონალური ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ სტუდენტებთან ერთად და მათთვის სეზონური დასაქმების შეთავაზება. აქტიურად ჩავატარებთ პრეზენტაციებს და ტრენინგებს ტურიზმის სფეროში უცხოელ და ქართველ პროფესორებთან ერთად.“

სკოლისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობა

უძველესი სოფელია კახეთში გავაზი – მშრომელი, ხალისიანი, ნიჭიერი ადამიანებით ადრიდანვე გამორჩეული საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

2013 წელს ბედმა შეგვახვედრა საინტერესო თავგადასავლების მქონე ნიჭიერ პიროვნებასთან თელავის უნივერსიტეტში. ის მოკრძალებული, მაგრამ მომავალი ცხოვრების სიკეთისათვის ომახიანი მოსაუბრე აღმოჩნდა. შემოგვთავაზა თავისი მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი ნიმუში – „ ბედის ქვა“.

აღელვების გარეშე ვერ წაიკითხავთ გავაზის მკვიდრის ონდიკო ბუთიაშვილის – „თედორე გავაზელის“ მოთხრობებს, მასში გაცოცხლებულია წინა საუკუნის სოფლის ახალგაზრდობის ცხოვრების ტკივილიანი ნლები. მათი კეთილშობილური სამეზობლო თანაცხოვრება და ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკურ წარმომადგენლობასთან.

მომდევნო შემოქმედებითი ურთიერთობა საკმაოდ დატვირთული გამოდგა, განსახილველად და რედაქტირებისთვის გადმოგვცა რამდენიმე მოქმედებაზე გათვლილი პიესის – „კიბე კავკასიონზე“ – ხელნაწერი. საკმაო მოცულობის ნაშრომში ავტორის მიერ წარმოჩენილია რუსეთის სამეფო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, კავკასიაში მეფის ნაცვალთა საქმიანობა. საქართველოს საზოგადოებრიობის თვალსაჩინო მოღვაწეთა ურთიერთობა ერთის მხრივ, რუსეთის კავკასიური პოლიტიკის განხორციელების გზაზე – შამილისადმი და, მეორეს მხრივ, თვით საქართველოს მხედრიონის დამოკიდებულებაზე მეზობელი ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ.

თედორე გავაზელის პიესა გამოიცა ჩვენი რედაქტორობით. მას საკმაო აღიარება ხვდა წილად, რამაც განაპირობა ავტორის შემოქმედებითი საღამოს მოწყობა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სოფელ გავაზის საჯარო სკოლის გაერთიანებული ძალებით.

დეკემბერის დასაწყისში ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის საჯარო სკოლას ვეწვიეთ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გავაზის სკოლის სამომავლო ურთიერთობის განმტკიცების მიზნით, რასაც საფუძვლად დავუდეთ თედორე გავაზელის შემოქმედების გაცნობა.

ჩვენზე წარუშლელი გავლენა მოახდინა გავაზის საჯარო სკოლის ახლად აგებულმა, კეთილმოწყობილმა ნაგებობამ. შენობა ამერიკის ხელშეწყობითა და სრულიად ახალი, ორიგინალური პროექტით არის შესრულებული. ის ფართოა, ნათელი, თვალშისაცემი სივრცითი სიხალვათით; სართულებს შორის ღია სივრცეა, ხოლო ორივე მხარეს განლაგებულია სასწავლო-სამეცადინო კლასები.

ვფიქრობთ, გავაზის საჯარო სკოლის ახალი შენობა თავისი განლაგებით, არქიტექტურული გადაწყვეტილებით ერთადერთია საქართველოში და შეიძლება კავკასიაშიც. მასში გონივრულად არის გაშლილი: საკლასო ოთახები; ლაბორატორიები; სასკოლო ბიბლიოთეკა; მუზეუმი; ისტორიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის კაბინეტები; კომპიუტერული ცენტრი. მესამე სართულზე განლაგებულია ვრცელი სააქტო დარბაზი 351 ადგილზე. აქ ყველა პირობაა შექმნილი ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლებისათვის.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ავთანდილ ღელაღუტაშვილის თანადგომით გავაზის საჯარო სკოლაში წარგზავნილებს გვიმასპინძლეს სკოლის დირექტორმა ლ. ნონიშვილმა, მისმა მოადგილემ ლ. კაპანაძემ. შეხვედრას დაესწრო პედაგოგთა ძირითადი ნაწილი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სამი თაობა.

დამსწრეთა წინაშე საინტერესო საუბრები ჰქონდათ პროფესორებს – გიორგი სიბაშვილს, გელა აზიკურს, რომლებმაც ღირსეულად წარმოადგინეს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და დასახეს სამომავლო ურთიერთობის გეგმები. შეხვედრაზე მიღებულ იქნა ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის განხორციელებაც სასიკეთოდ წაადგება მოსწავლე-ახალგაზრდობის უმაღლესი განათლებისადმი ლტოლვის ეროვნულ საქმეს.

ელგუჯა მამუკელაშვილი

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გაზეთი მომზადდა თესაუს ჟურნალისტიკის სასწავლო ცენტრში